# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან

www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

№130 (9810) 2024 წლის 13 ნოემბერი. ოთხშაბათი

ფასი 1 ლარი


## დღის მთავარი მოთხოვნა

2

# ქუჩაში მოხეტიალე ყველა პარტია არაკონსტიტუციურად უნდა გამოცხადდეს!



ქვეყნის პრემიერი:

თუ ვინმე დაგვიმტკიცებს, რომ NGO-ების ბუნდოვანება არის უკეთესი, ვიდრე მათი გამჭვირვალობა, თუ ვინმე დაგვიმტკიცებს, რომ ოჯახური ფასეულობების და არასრულწლოვანთა დაცვა არ არის მნიშვნელოვანი, მაშინ კი ბატონო, მაგრამ ამას სჭირდება ჯანსაღი დისკუსიები და არა ასეთი უხეში საუბრები, რასაც ჩვენ ხშირად ვისმენთ ხოლმე.

## მანანა ჩიტიშვილი

# ქართლი, როგორც გაროზგილი დედაჩემი, გადატყაულ მუხლისთავზე მისვენია...



7

# შემოდგომის ბუზები ისევ მწარედ იკბინებიან!

..რომ დაიღუპე, ქვეყანამ იცის და არავისზე გაწყდომ ძვირი, შენ აირჩიე შავი – და ისიც არა მერანი – არამედ ვირი



3

ედიშერ გვენეტაძე: „როთმა შემოუთვალა ჩვენს პრემიერს, კაფეში ვისაუბროთო – კახპა, გაურკვეველი სქესის წარმოშობის ადამიანებთან საუბარი რა ვაჟკაცების საქმეა!“



# ტრამპის ტრიუმფალური დაბრუნება

8



## ჩვენი ოჯახის უროლოგი

არჩილ ჩხოტუა:

# უცხოეთიდან ჩამოტანილი ჩემი „ფასდაუდებელი ნადავლის“ მადლი...

5

# საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი მეცნიერებასა და აკადემიურ წრეებს მეცნიერების საერთაშორისო დღეს ულოცავს




**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორმა, საქართველოს რექტორთა მუდმივმოქმედი კონფერენციის თავმჯდომარემ, აკადემიკოსმა დავით გურგენიძემ საუნივერსიტეტო საზოგადოების და საქართველოს რექტორთა მუდმივმოქმედი კონფერენციის სახელით, მეცნიერების საერთაშორისო დღე მიულოცა ქართველ და უცხოელ კოლეგებს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადადემიას, საქართველოში აკრედიტებული უნივერსიტეტების რექტორებსა და მეცნიერებს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და ცენტრების სამეცნიერო-აკადემიურ წრეებს და ნაყოფიერ მოღვაწეობას უსურვებს. ამის შესახებ ინფორმაციას სტუ ავრცელებს.**

„წელს 23 წელი სრულდება მას შემდეგ, რაც UNESCO-მ 10 ნოემბერი მეცნიერების საერთაშორისო დღედ გამოაცხადა. 2001 წლიდან, მსოფლიო მასშტაბით, ყოველწლიურად ვიკრიბებით მეცნიერები, რათა ფართო საზოგადოებას მივაწოდოთ ინფორმაცია უახლესი მიღწევების შესახებ.

10 ნოემბერი ხაზს უსვამს მეცნიერების აქტუალობას ჩვენს ყოფით ცხოვრებაში. პროგრესი შეუძლებელია მეცნიერების გარეშე, – ეს უნდა გააცნობიეროს ახალმა თაობამ და გამოიყენოს ყველა შესაძლებლობა, რომელსაც სახელმწიფო აძლევს.

საქართველოში მეცნიერებამ რთული გარდამავალი პერიოდი გაიარა. იყო დრო, როცა ტექნოლოგიებისა და ინოვაციების განვითარება სერიოზული რისკის ქვეშ იდგა.

**დღეს, საბედნიეროდ, მეცნიერება არის საქართველოს მთავრობის, პრემიერ-მინისტრ ირაკლი კობახიძის, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, მინისტრ ალექსანდრე წულაძის სამოქმედო გეგმის პრიორიტეტული ნაწილი. ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში მეცნიერების განვითარების ხელშეწყობა მნიშვნელოვანია, ამ მიმართულებით, ხელისუფლების ინიციატივითა და მხარდაჭერით, არაერთი პროექტი ხორციელდება საქართველოში აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებლებში, მათ შორის, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში.**




მეცნიერების განვითარებაში, საქართველოს სწრაფ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასა და კეთილდღეობაში უდიდესი წვლილი შეაქვს მსოფლიო მნიშვნელობის მიღწევებისა და მაღალი სამეცნიერო ავტორიტეტის მქონე მეცნიერთა გაერთიანებას, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას, აკადემიკოს როინ მეტრეველის ხელმძღვანელობით.

დღეს ქართველი მეცნიერები მოღვაწეობენ ევროპის, აზიისა და ამერიკის წამყვან უნივერსიტეტებსა და უდიდეს კვლევით ცენტრებში.

ჩნდება მეტი შესაძლებლობა, გაცილებით მეტი მკვლევარი, მათ შორის ახალგაზრდა ჩაერთოს სამეცნიერო კვლევებში, ჩვენი რიგები ნიჭიერი ახალგაზრდა თაობით ივსება. წარმატებებს ვუსურვებ მათ!

მეგობრებო! კიდევ ერთხელ გილოცავთ პროფესიულ დღეს და ნაყოფიერ სამეცნიერო მოღვაწეობას გისურვებთ“, – აღნიშნულია აკადემიკოს დავით გურგენიძის მიმართვაში.

✦ ✦ ✦

**ინფორმაციისთვის: 10 ნოემბერს მეცნიერების საერთაშორისო დღის აღნიშვნის მთავარ მიზანს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მეცნიერების მნიშვნელოვანი როლის ხაზგასმა, მეცნიერების უახლესი განვითარების შესახებ მოქალაქეების ინფორმირება და ახალი სამეცნიერო საკითხების განხილვაში საზოგადოების ჩართულობის ხელშეწყობა წარმოადგენს.**

# არ შედრკე, „ოცნებავ“!



გალაკტიონი:

## ევროპავ, გახსოვს?

*ევროპავ, გახსოვს,*
*რომ გარიგებდნენ:*
*შენ მწუხარებას არ მისცე*
*თავი,*
*გზაში შეგვხვდება*
*მერანი ორი –*
*ერთი თეთრი და მეორე შავი.*
*თუ მოახერხე*
*თეთრზე შეჯდომა,*
*არ შეგეშინდეს მისი*
*კისრულის,*
*ის ფეხით კლდეებს*
*გადაექცდომა,*
*შენ – ნათელ მხარეს*
*გადაგისროლის,*
*მაგრამ თუ შავზე*
*მოხვდი შეცდომით –*
*საამსოფლიოდ არ ევარგები,*
*მწარედ ინანებ*
*მასზე შეჯდომით,*
*სადმე წყვდიადში გადიკარგები.*
*რომ დაიღუპე,*
*ქვეყანამ იცის*
*და არავისზე გაბედო ძვირი,*
*შენ აირჩიე*
*შავი – და ისიც*
*არა მერანი – არამედ ვირი.*






### ილჰამ ალიევი: ორმაგი სტანდარტები პოლიტიკური თვალთმაქცობა დასავლეთის ზოგიერთ ქვეყანაში ზოგიერთი პოლიტიკოსის, არასამთავრობო ორგანიზაციისა და მედიის მოქმედების საშუალებად იქცა

– ეს მხოლოდ პოლიტიკური კულტურისა და ცოდნის ნაკლებობას აჩვენებს. დღეს აზერბაიჯანის წილი მსოფლიო ნავთობის მოპოვებაში 0.7 პროცენტია, გაზის გლობალურ წარმოებაში – 0.9 პროცენტი, მაგრამ იმ ქვეყნის ყალბი ახალი ამბების მედია, რომელიც ნავთობისა და გაზის ნომერ პირველი მწარმოებელია მსოფლიოში და 30-ჯერ მეტ ნავთობს აწარმოებს, ვიდრე აზერბაიჯანი, გვეძახის ნავთობსახელმწიფოს.

სჯობს, საკუთარ თავს შეხედონ. აზერბაიჯანის წილი გაზის გლობალურ გამონაბოლქვში მხოლოდ 0.1 პროცენტია. ეს მაჩვენებლები უნდა წარვუდგინო ჩვენს აუდიტორიას, რადგან სწორედ მას შემდეგ, რაც აზერბაიჯანი გაეროს კლიმატის კონფერენციის მასპინძელ ქვეყნად აირჩიეს, ცილისწამებისა და შანტაჟის კოორდინირებული, კარგად ორგანიზებული კამპანიის სამიზნე გავხდით. ბევრი სხვა მნიშვნელოვანი კრიტერიუმია, რომელიც უნდა იყოს საფუძველი ქვეყნის საქმიანობის ერთგვარი შეფასებისთვის, მაგრამ არა ქვეყნის ბუნებრივი რესურსები, რომლებიც ღვთის საჩუქარია.

ორი წლის წინ აზერბაიჯანმა და ევროკომისიამ ხელი მოაწერეს დეკლარაციას ენერგეტიკის სფეროში სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ, მაგრამ ეს არ იყო ჩვენი იდეა. ეს იყო ევროკომისიის წინადადება, როდესაც ევროკომისიის პრეზიდენტი ორი წლის წინ ჩამოვიდა ბაქოში, რათა ხელი მოეწერა ჩვენთან ამ დოკუმენტისთვის. მათ სჭირდებოდათ ჩვენი გაზი გეოპოლიტიკური სიტუაციის ცვლილების გამო.

### ირაკლი კობახიძე: გვჯერა, საქართველოს ინიციატივები, შავი ზღვის კაბელები, საბორნე მიმოსვლა უზრუნველყოფს ეფექტურ გადაწყვეტილებებს ენერგეტიკულ დამოუკიდებლობასა და უსაფრთხოებაში

– ფლაგმანური ინიციატივები, როგორიცაა შავი ზღვის წყალქვეშა ელექტროგადამცემი და ოპტიკურბოჭკოვანი ინტერნეტ კაბელები, ისევე, როგორც შავი ზღვის საბორნე მიმოსვლა, შეიძლება, გახდეს გარდამტეხი ინიციატივები დაკავშირებადობის სფეროში და მტკიცედ გვაქვს განზრახული მათი განხორციელების დაჩქარება. ეს ხელს შეუწყობს განახლებადი ენერგიის გადაცემას სამხრეთ კავკასიის ქვეყნებიდან ევროკავშირის მიმართულებით, შეამცირებს დამოკიდებულებას ერთ მომწოდებელზე და გაამრავალფეროვნებს ენერგეტიკულ პორტფელს. ძლიერი ქსელური კავშირის შექმნა მონაწილე ქვეყნებს საშუალებას მისცემს, რესურსები გააერთიანონ, მიწოდება და მოთხოვნა დააბალანსონ და ენერგეტიკული მდგრადობა გააძლიერონ. გვჯერა, საქართველოს ინიციატივები, როგორიცაა შავი ზღვის წყალქვეშა ელექტროგადამცემი და ოპტიკურბოჭკოვანი კაბელები, ისევე, როგორც შავ ზღვაზე გააქტიურებული საბორნე მიმოსვლა, ეფექტურ გადაწყვეტილებებს უზრუნველყოფს ენერგეტიკული დამოუკიდებლობისა და უსაფრთხოების სფეროში, სასურსათო უსაფრთხოებისა და სანდო ალტერნატიული სატრანსპორტო მარშრუტების მიმართულებით, განსაკუთრებით არსებული რთული გეოპოლიტიკური გარემოს პირობებში.

# ქუჩაში მოხეტიალე ყველა პარტია ანტიეროვნულია და არაკონსტიტუციურად უნდა გამოცხადდეს!

**ირაკლი კობახიძე: წინასაარჩევნოდ საუბარი გვქონდა პოლიტიკური პარტიების არაკონსტიტუციურად გამოცხადებაზე, ასე თუ გააგრძელეს, შეიძლება, ეს ნაბიჯი საკონსტიტუციო უმრავლესობის გარეშეც გადავდგათ!**

„თქვენ ხედავდით, რომ წინასაარჩევნო პერიოდი იყო უპრეცედენტოდ მშვიდი და საარჩევნო გარემო იყო კონკურენტული, აბსოლუტურად თავისუფალი. არჩევნების დღეს რაც შეეხება, ელექტრონული წესით ჩატარდა ეს არჩევნები და თქვენ იცით, რომ ელექტრონული წესით გაიარა რეგისტრაცია ამომრჩეველთა 90%-ზე მეტმა, ასევე ელექტრონულად ხდებოდა ხმის მიცემა და ხმების დათვლაც მოხდა ელექტრონული წესით. ასეთ პირობებში დაუბალანსებელი ოქმებიც კი არ არსებობდა, რაც იყო 30-წლიანი პრობლემა. ასეთი ტიპის ხარვეზებიც კი არ ჰქონდა ამ არჩევნებს. რეალურად, საზოგადოების მხარდაჭერა მიიღო „ქართულმა ოცნებამ“. ყველაფერი დანარჩენი არის ცარიელი სპეკულაციები, რასაც არ აქვს არავითარი საფუძველი. ვერავითარი ფაქტი ვერ წარმოადგინეს. ერთადერთი იყო, მაგალითად მარნეულის ოლქში ბიულეტენების ჩაყრის შემთხვევა და იქაც რეაგირება იყო მყისიერი“, – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

**კითხვაზე, თუ რას ნიშნავს მუქარა ცესკოს წარმომადგენლებსა და დეპუტატებზე, პრემიერმა აღნიშნა, რომ ეს მუქარა არის გარკვეული მცდელობა, წავიდნენ კონკრეტული ადამიანები კონსტიტუციური წყობილების წინააღმდეგ.**

„ეს არის ამ პოლიტიკური ძალების ხელწერა. ჩვენ გვქონდა წინასაარჩევნო პერიოდში საუბარი პოლიტიკური პარტიების არაკონსტიტუციურად გამოცხადებაზე. ჩვენ ამას ვუკავშირებდით საკონსტიტუციო უმრავლესობის მიღებას. თუმცა თუ ასე გააგრძელეს ამ ადამიანებმა, შეიძლება, საკონსტიტუციო უმრავლესობის გარეშეც გადავდგათ ეს ნაბიჯი. თუ ისინი გააგრძელებენ კონსტიტუციური წყობილების წინააღმდეგ წასვლას, ამ შემთხვევაში ისინი მოამწიფებენ შესაბამის გადაწყვეტილებას. თუმცა კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ ამის რესურსი მათ ნაკლებად აქვთ. შესაბამისად, მგონია, რომ ძალიან მალე ისინი გაჩერდებიან, შესაბამის ინსტრუქციებსაც მიიღებენ და საბოლოო ჯამში, არ ვიცი – სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ისინი აღმოჩნდებიან პარლამენტში სკამებზე.

აქ საუბარია საკონსტიტუციო სარჩელის შეტანაზე, რასაც სჭირდება დეპუტატების მცირე რაოდენობა. ეს არის აბსოლუტურად საკმარისი. თუ გააგრძელებენ კონსტიტუციური წყობილების წინააღმდეგ სიარულს, ამ შემთხვევაში შეიძლება განვიხილოთ ჩვენ ეს საკითხი. მეორე მხრივ, იმდენად დასუსტებულია დღეს ოპოზიცია, რომ შეიძლება ასეთი ზომების მიღება აღარც გახდეს აუცილებელი, თუმცა ცუდი არ იქნებოდა ქვეყნის გრძელვადიანი სტაბილური განვითარებისთვის“, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

✦ ✦ ✦

**მას შემდეგ, რაც ცვლილებები მოხდა აშშ-ში, თავად ამერიკელები აპირებენ იმ ტიპის კანონის მიღებას, რაც მივიღეთ საქართველოს პარლამენტში, საქმე ეხება ოჯახურ ღირებულებებს და არასრულწლოვანთა ინტერესების დაცვას!**

**„ჩვენ თუ ვინმე დაგვიმტკიცებს, რომ ამ კანონში რაიმე არის ცუდი, მაშინ კი ბატონო, ვიმსჯელოთ, მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ თითოეული ნორმა, რომელიც არის გაწერილი ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ კანონში, ემსახურება სწორედ შესაბამის ინტერესებს, ეს ემსახურება საზოგადოების და ქვეყნის ინტერესებს.**

**იგივე ეხება გამჭვირვალობის კანონს. თუ ვინმე დაგვიმტკიცებს, რომ NGO-ების გამჭვირვალობა არის ცუდი და არა პირიქით, მაშინ კი ბატონო, ვიმსჯელოთ.**

**ჩვენ ყოველთვის ვიყავით ღია დისკუსიისთვის. მე პირადად, არაერთხელ მოვიწვიე დებატებში თუ დისკუსიაში შესაბამისი სუბიექტები, მათ შორის, უცხოელი დიპლომატები, ჩვენი საერთაშორისო პარტნიორები, პროტესტის მონაწილეები, პოლიტიკური პარტიები. ყოველ ჯერზე ისინი ამბობდნენ ამ დისკუსიაზე უარს იმიტომ, რომ სინამდვილეში არაფერი აქვთ სათქმელი არც სამართლებრივი და არც პოლიტიკური თვალსაზრისით, მაგრამ კიდევ ერთხელ ვაფიქსირებთ, რომ ვართ ღია დისკუსიისთვის. თუ ვინმე დაგვიმტკიცებს, რომ NGO-ების ბუნდოვანება არის უკეთესი, ვიდრე მათი გამჭვირვალობა, თუ ვინმე დაგვიმტკიცებს, რომ ოჯახური ფასეულობების და არასრულწლოვანთა დაცვა არ არის მნიშვნელოვანი, მაშინ კი ბატონო, მაგრამ ამას სჭირდება ჯანსაღი დისკუსიები და არა ასეთი უხეში საუბრები, რასაც ჩვენ ხშირად ვისმენთ ხოლმე.**

**ჩვენ ყოველთვის ვიყავით და დღესაც მზად ვართ საჯარო დისკუსიისთვის. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ეს დისკუსია შედგეს საჯაროდ, საზოგადოებამ მოისმინოს რეალურად ეს დისკუსია და გაირკვეს, რა არის ამ დისკუსიის შინაარსი. დღემდე ჩვენ რასაც ვხედავთ, ჩვენ ვსაუბრობთ არგუმენტებით და არიან ამ კანონების ოპონენტები, რომლებიც არგუმენტების გარეშე აკეთებენ უხეშ განცხადებებს. ამიტომ არის მნიშვნელოვანი, რომ შედგეს საჯარო დისკუსია. საზოგადოების თვალწინ უნდა შედგეს ასეთი საჯარო დისკუსია. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, თუ ვინმე დაგვიმტკიცებს, რომ ან ერთი ან მეორე მიმართულებით რაიმე სამართლებრივი პრინციპები ირღვევა, ან სხვა კუთხით არის პრობლემური ესა თუ ის კანონი, კი ბატონო, მაგრამ ჩვენ გვჭირდება არგუმენტები ამასთან დაკავშირებით“,** – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.






**ქუთაისის წინასაარჩევნო ღონისძიებაზე ვთქვი, თუ როგორ წარმოგვიჩენენ ომს მშვიდობად, ცალ ფეხზე დგომას — თავისუფლებად, სიცრუეს — ჭეშმარიტებად, იუდას ამბორს — ქართველი ხალხის სიყვარულად. გუშინ მთელი სისავსით ვიხილეთ სიცრუეც, დამორჩილების სურვილიც, არეულობისკენ მოწოდებაც; განსაკუთრებით უხვად კი — ქართველების სიყვარულად შემოსაღებული იუდას ამბორი. და ეს ყველაფერი — ევროპის სახელით!..**

**შალვა პაპუაშვილი**

# აი, ევროპა!

საქართველოს რესპუბლიკა



# შემოდგომის ბუზები ისევ მწარედ იკბინებიან!

**11 ნოემბერს თბილისში 8 ქვეყნის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარეების დელეგაცია ჩამოვიდა. იმ დღესვე გაიმართა შეხვედრა პრეზიდენტთან და პარალელურად, ორბელიანების სასახლესთან შედგა აქცია, რომელზეც საპარლამენტო არჩევნების შედეგები გააპროტესტეს.**

## ედიშერ გვენეტაძე:

## „როთმა შემოუთვალა ჩვენს პრემიერს, კაფეში ვისაუბროთო — კახპა, გაურკვეველი სქესის წარმოშობის ადამიანებთან საუბარი რა ვაჟკაცების საქმეა!“



დელეგაციას ხელმძღვანელობდა გერმანიის პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავჯდომარე, გერმანელი ლგბტ-ის ლიდერი მიხაილ როთი, რომელიც საქართველოს პრემიერ-მინისტრს კაფეში ჩაიზე ეპატიჟებოდა. რადიკალური ოპოზიცია ოდენ ლგბტ თემის იმედად დარჩა. მთელს ამ პროცესში საინტერესო დეტალია ისიც, რომ რადიკალებს არ იმჩნევს აშშ-ის საელჩო და წინა პლანზე გამოვიდა ევროკავშირის და გერმანიის ელჩები.

ყოველგვარი დიპლომატიური ეთიკა დაარღვია გერმანიის საელჩომ, რომელიც საქართველოში ამბოხს ლობირებს. საქართველოში გერმანიის საელჩო ბერლინის კედლის დაცემის 35-ე წლისთავთან დაკავშირებით გავრცელებულ განცხადებაში წერს, რომ მშვიდობიანი რევოლუცია შესაძლებელია და ბერლინის კედლის დაცემა ამის მაგალითს წარმოადგენს.

**„ათწლეულების განმავლობაში გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას ჩაკეტილი ჰყავდა მოქალაქეები ჩაგვრისა და ძალადობის სისტემაში. გდრ-ის მოქალაქეებმა, გამოიჩინეს რა გამბედაობა და სურვილი, თავად განესაზღვრათ საკუთარი ბედი და ეცხოვრათ თავისუფლებაში, მიაღწიეს ბერლინის კედლის დანგრევას. ამით მათ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ადამიანებთან ერთად შექმნეს საფუძველი გერმანიის გაერთიანებისთვის და თავისუფალი, ერთიანი ევროპისთვის. დღესაც შეიძლება იგივე ითქვას: თავისუფლება თავისთავად არ მოდის, ჩვენ მისთვის უნდა ვიბრძოლოთ — ასე იყო მაშინაც და ასე არის დღესაც, აქაც და მთელ მსოფლიოში“, —** ნათქვამია განცხადებაში.

✦ ✦ ✦

**ანალიტიკოს დავით ზარდიაშვილის** თვალსაზრისით, გერმანიის საელჩოს განცხადება, ეს არის რევოლუციის პროპაგანდა და ინსპირაცია. როგორც ანალიტიკოსი აცხადებს, ბერლინის კედლის დაცემას რევოლუციასთან არაფერი საერთო არ ჰქონდა და როდესაც ელჩი საუბრობს რევოლუციაზე, ეს არის არადიპლომატიური და არ შეიძლება ელჩი იყოს დაკავებული ამ პროპაგანდით.

**„ამბოხება, ეს არის ერთ-ერთი უმძიმესი დანაშაული სახელმწიფოს წინააღმდეგ. ბერლინის კედლის დანგრევას კი რევოლუციასთან არაფერი საერთო არა აქვს. ეს იყო საერთაშორისო შეთანხმების შედეგი. მანამდე დაიწყეს საბჭოთა კავშირის ჯარების გამოყვანა და ამის შესახებ 1988 წლის დეკემბერში განაცხადა გორბაჩოვმა. ამას მოჰყვა ის, რომ ორივე ქვეყნის მთავრობებმა საზღვარი გახსნეს და შემდეგ მოხდა ის პროცესი, რაც დაკავშირებულია ბერლინის კედლის დანგრევასთან, ეს საერთაშორისო პროცესი იყო და ეპოქალური აქტი ცივი ომის დასრულების შედეგ, რაც არავითარ შემთხვევაში, ამბოხებას და არანაირ რევოლუციას არ წარმოადგენდა. სამარცხვინოა, როდესაც ელჩი უცხო ქვეყანაში, სადაც არსებობს ამბოხების მართალია მცირე, მაგრამ მაინც რისკი, ასეთ განცხადებებს აკეთებს. ეს არის უაღრესად არადიპლომატიური განცხადება.**

**ამ ოპოზიციის გადამკიდე, რასაკვირველია, არსებობს ამბოხების რისკები. როგორც, აგერ, ანა დოლიძემ გვითხრა, განვახორციელებთ ხალხის გაბრაზებასო, ეტყობა, რომ ქართული ლაპარაკი დაავიწყდა. გასაგებია, რომ მიზანია ხალხი გამოიყვანონ ქუჩაში და არაკონსტიტუციური გზით შეცვალონ ხელისუფლება — მშვიდობიანად თუ არამშვიდობიანად, ამას მნიშვნელობა არა აქვს. ნებისმიერ შემთხვევაში ეს იქნება ამბოხება და როცა საელჩო, ელჩი იწყებს ამის პროპაგანდირებას, ეს არის აღმაშფოთებელი, რომელიც არ ჯდება დიპლომატიურ ურთიერთობებში და სახელმწიფოთა შორის ურთიერთობების არანაირ წესებს არ შეესაბამება“, —** აცხადებს for.ge-სთან საუბრისას დავით ზარდიაშვილი.

**ანალიტიკოს ედიშერ გვენეტაძის** შეფასებით, ამ დღეებში, გერმანიაში იგივე ვითარებაა, რაც იყო ბაიდენის მმართველობის პერიოდში აშშ-ში, რომლებიც არაფრით არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან — ზღვარგადასული ლგბტ-ს მხარდამჭერები არიან.

**„ჰიტლერის წარმომადგენლები არ აკეთებდნენ ამას სხვადასხვა ქვეყანაში. მთელი მე-20 საუკუნის მანძილზე არ ყოფილა გერმანიის ხელისუფლება ასეთი სამარცხვინო, როგორიც დღეს არის. შოლცმა იქამდე მიიყვანა ქვეყანა, რომ თქვენ წარმოიდგინეთ, რიგგარეშე არჩევნებს ვერ ჩავატარებთ, ქაღალდი არ გვაქვს, ბიულეტენი რომ დავბეჭდოთო.**

**ასეთ უმძიმეს მდგომარეობაში ჩააგდო შოლცმა გერმანია. ნახეთ, ვინ არის გერმანიის საგარეო ურთიერთობების კომიტეტის თავმჯდომარე, მიხაილ როთი, ამით აბსოლუტურად ყველაფერია ნათქვამი. ეს არის შემოდგომის ბუზებად გადაქცეული ლგბტ მსოფლიო ლიდერების უკანასკნელი დღეები. სრულდება მათი ეპოქა, როცა უნდოდათ მთელი მსოფლიოს გახრწნა.**

**ამ გერმანიის სახემ, როთმა შემოუთვალა ჩვენს პრემიერ-მინისტრს, ჩამოვალ თბილისში და კაფეში ვისაუბროთო. კახპა, გაურკვეველი სქესის წარმოშობის ადამიანებთან საუბარი რა ვაჟკაცების საქმეა. მას ჰყავს მისნაირები, ისეთები, როგორიც არიან გვარამია, მელია, შარვალჩახდილი გირჩი ზურაბა, ხაზარაძე, რომელიც ფილმებს იღებს მათზე. იყვნენ ბატონო, ჩვენთან გამოხატვის და სიტყვის თავისუფლებაა, გაიარ-გამოიარონ, გააქნიონ კურტუმოები და მერე, ჰაიდა, აქედან წავიდნენ“, —** აღნიშნა for.ge-სთან საუბრისას ედიშერ გვენეტაძემ.

**თამთა ქარჩავა**

## ევროპულმა საბჭომ ჩვენთვის უვიზო რეჟიმის საკითხის განხილვა გადადო

# უვიზო რეჟიმის დროებით შეჩერებას მთლად გაუქმება აჯობებს!!!



**ბუდაპეშტში ევროპული საბჭოს არაფორმალური სამიტი ისე დასრულდა, რომ საქართველოზე საუბარი ვერ მოესწრო. თუმცა, როგორც ცნობილია, 18 ნოემბერს ბრიუსელში ევროკავშირის ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრები შეიკრიბებიან, სადაც, წინასწარი ინფორმაციით, საქართველოს საკითხსაც განიხილავენ. რას ნიშნავს თავად ის ფაქტი, რომ ევროკავშირის ლიდერებს საქართველოსთან დაკავშირებით დისკუსიის გასამართად დრო არ ეყოთ, რას უნდა ველოდოთ ერთი კვირის შემდეგ ბრიუსელის შეხვედრიდან? — ამ და სხვა საინტერესო საკითხებთან დაკავშირებით For.ge ანალიტიკოს ზაალ ანჯაფარიძეს ესაუბრა.**

**ზაალ ანჯაფარიძე:** **უფრო პრიორიტეტული საკითხები განიხილეს და საქართველო, ამ შემთხვევაში, არ აღმოჩნდა პრიორიტეტულ საკითხებს შორის იმ ადგილზე, რა ადგილზეც ჩვენ გვინდოდა, რომ აღმოჩენილიყო. შესაბამისად, მოიტოვეს ბოლოსთვის და ხდება ხოლმე ასეთი რამ, როდესაც დრო არ ჰყოფნით. როგორც ჩანს, ჩათვალეს, რომ ეს საკითხი არ იყო იმდენად მნიშვნელოვანი და გადადეს 18 ნოემბრისთვის, როდესაც ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრები დაუბრუნდებიან ამ საკითხის განხილვას, მაგრამ იქ უნდა განხილულიყო უვიზო რეჟიმის შეჩერებაც. ასე რომ, შესაძლოა, კარგიც არის, რომ გადაიდო.**

***— რამდენად არის შესაძლებელი, ევროკავშირმა 18 ნოემბერს გასამართ სამიტზე მიიღოს გადაწყვეტილება და საქართველოს უვიზო მიმოსვლა შეუჩეროს?***

— ევროპაში ბოლომდე არ არიან ჩამოყალიბებული, შეუჩერონ უვიზო რეჟიმი საქართველოს თუ არა, ისევე, როგორც არ არიან ჩამოყალიბებული ბოლომდე, აღიარონ ამ არჩევნების შედეგები თუ არა. ყველა ელოდება ეუთო/ოდირის მისიის საბოლოო დასკვნას ამ არჩევნების შეფასების შესახებ, რომელიც, ალბათ, უფრო მკაფიოდ გამოკვეთს იმას, თუ რა პოზიცია შეიძლება დაიკავოს ევროკავშირმა არჩევნებთან მიმართებაში.

***— არსებობს მოსაზრება, რომ საქართველოსთვის უვიზო მიმოსვლის შეჩერება შესაძლოა იყოს ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იმისა, რომ ქვეყანაში საპროტესტო ტალღა აგორდეს და საბოლოოდ, მივიდეთ რევოლუციამდე. რამდენად უშვებთ ამის ალბათობას თქვენ პირადად?***

— ყველაფერ დამოუკიდებული იქნება იმაზე, მიიღებს თუ არა ევროკავშირი ამ გადაწყვეტილებას, ვგულისხმობ უვიზო რეჟიმის შეჩერებას. ეს ისეთი თემა, რომელიც ეხება ძალიან ბევრ ჩვენს თანამოქალაქეს, მათ შორის ხელისუფლების მომხრეებსაც — მათ ისევ მოუწევთ წასვლა საელჩოში, რიგში ჩადგომა, პროცედურების გავლა და ა.შ. გასაგებია, რომ ეს შეიძლება იყოს, მაღალი ალბათობით, ტრიგერი იმისა, რომ ხალხი ქუჩაში გამოვიდეს, შეიძლება არც კი დასჭირდეს ოპოზიციის დიდი ძალისხმევა. ევროპაში

გაგრძელება მე-4 გვ.

# საპარლამენტო არჩევნები, რომელსაც ელოდებოდა საქართველო, ბოლნისში კარგად ჩატარდა!



**არჩევნებზე მოწვეული მრავალრიცხოვანი უცხოელი დამკვირვებლების განცხადებების საფუძველზე არჩევნები ჩატარდა მშვიდობიანად, კონკურენტულ გარემოში მნიშვნელოვანი დარღვევების გარეშე. ის ვინც უსაფუძვლოდ, ყოველგვარი კონკრეტიკის გარეშე მიიჩნევს რომ, არჩევნები ტოტალურად გაყალბდა, საქართველოს ხალხის ნებას აბუჩად აგდებს.**

არჩევნებს ჰყავს გამარჯვებულები და დამარცხებულები.

პირველ რიგში, გამარჯვებულია ქართველი ხალხი, რომელმაც ხმა მშვიდობას, ქვეყნის განვითარებას მისცა.

გამარჯვებულია „ქართული ოცნება“, რომელმაც შეძლო მშვიდობის შენარჩუნება უაღრესად საშიშ პერიოდში და საშიშ რეგიონში, მიაღწია მნიშვნელოვან ეკონომიკურ ზრდას. ბატონი ირაკლი ღარიბაშვილის ძალისხმევით ხელი მოეწერა შავი ზღვის ფსკერზე მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი კაბელის ჩაშვებას, რითაც ელექტროენერგია მიეწოდება ევროპას. ეს არის საქართველოს დამოუკიდებლობის, ეროვნული ინტერესების საფუძველზე ქვეყნის განვითარების მყარი გარანტი. კაბელი არის მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომლის გამოც ევროპა უარს ვერ და არ იტყვის საქართველოზე!

ცალკე უნდა აღინიშნოს პრეზიდენტის დამოკიდებულება 26 ოქტომბრის არჩევნების მიმართ, რაც კიდევ ერთხელ აიძულებს პარლამენტს ზუსტად გამიჯნოს მისი უფლებამოსილება პრემიერის უფლებამოსილებისგან. რადგან პრეზიდენტი ზეპარტიული უნდა იყოს, იგი უნდა აირჩიოს საქართველოს ხალხმა. საზოგადოების ფენებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი პრეზიდენტობის კანდიდატები და მათგან ყველაზე რეიტინგული და პოპულარული 5-6 კანდიდატიდან საყოველთაო არჩევნებზე (თუნდაც ადგილობრივ არჩევნებზე) ხალხმა აირჩიოს თავისი პრეზიდენტი.

არჩევნებში დამარცხებულია ოპოზიციური პარტიები, მიუხედავად იმისა, რომ მათგან ოთხმა პარტიამ ბარიერი გადალახა. ისინი პარლამენტში შესვლას არ აპირებენ და იბრძვიან იმისთვის, რომ ზენორმატიული ოდენობით ინვესტიციების შემოტანით „მართონ“ ქვეყანა მხოლოდ დასავლეთელი „მეგობრების“ მითითებით.

ამ „იდეის“ განსახორციელებლად, ჩვენი აზრით მათ მაინც სჭირდებათ ერთი ან ორი „მარკშეიდერი“ იმისათვის, რომ თვით იდეაში წარმოქმნილი საშიში ბზარები დროულად მოიშორონ, რომ არ ჩამოექცეთ თავზე თავიანთი ვირტუალური ჩანაფიქრი...

„მე, ნანა მალაშხია სიის პირველი ნომერი პოლიტიკაში შემოვედი იდეებისათვის და ამ ქვეყნის ინტერესების დასაცავად“.

ქალბატონ მალაშხიას პარტიის „მარკშეიდერმა“უნდა უთხრას რომ ქვეყნის ინტერესების დაცვას იგი კულტურის სფეროდან გაცილებით უკეთ შეძლებდა.

„შეუძლებელია განწყობებს შორის ასეთი კატასტროფული სხვაობა იყოს და თბილისში სხვა ქართველები ცხოვრობდნენ, რეგიონებში სხვა და საზღვარგარეთ სულ სხვა“ – ბრძანებს პოლიტილოგი დათო ზურაბიშვილი.

როგორ არ იცის ბატონმა ზურაბიშვილმა, რომ კახეთში სხვა ეკონომიკური ინტერესები აქვთ, თბილისში სხვა, სამეგრელოში სხვა და საზღვარგარეთ სულ სხვა.

**განწყობების მიხედვით საქართველოში ხმას არ აძლევენ.**

ბატონმა დათო ზურაბიშვილმა თავის დროზე რედაქტირება გაუკეთა სააკაშვილის წიგნს „გადამწყვეტი ბრძოლა საქართველოსთვის“ და ვერ გაიგო, ან არ წაიკითხა, თუ როგორ ყიდდნენ სააკაშვილი და ჟვანია საქართველოს გეოპოლიტიკურ მდებარეობას ფულზე.

ბატონ დათო ზურაბიშვილს, სხვა პოლიტიკოსებს და პოლიტიკოს-პოლიტიკანებს აუცილებლად უნდა დაენიშნოთ „მარკშეიდერები“ სანამ ისინი ქვეყნის მტრებად არ ჩამოყალიბებულან.

**მკითხველს უფრო კონკრეტულად უნდა მოვახსენო ბოლნისში ჩატარებულუ არჩევნების შესახებ.**

ქ. ბოლნისში არჩევნებამდე ხმა დაირხა, ბოლნისში არჩევნები გაყალბდებაო. ასეთი ამბავი ცუდი მოსასმენი იყო და ამიტომ ხმის მისაცემად იმ დროს წავედი, როცა, ჩემი აზრით, დიდი რიგი უნდა ყოფილიყო. რიგი მართლაც დიდი დამხვდა, მაგრამ სულხან-საბა ორბელიანის სახელობის საშუალო სკოლის დერეფანმა ყველანი დაგვიტია. რიგი იყო თვითორგანიზებული. შენობაში შემოსული ყველა ამომრჩეველი რიგის ბოლოში მოდიოდა და იქ დგებოდა. არ მომეწონა რაღაც მკაცრი სიჩუმე, მეჩვენებოდა მეზობლები და ნაცნობები თითქოს უსიხარულოდ ესალმებოდნენ ერთმანეთს, რაც არ არის დამახასიათებელი ბოლნისელებისათვის.

სახლში მოსვლის შემდეგ, როცა ტელეგადაცემებში გაიჟღერა აზრმა, რომ ბოლნისში დიდი რაოდენობით ამომრჩეველი მოვიდა არჩევნებზე და ხმის მიცემის ფარულობა მთელ საქართველოში დაირღვაო, დეტალურად გავიხსენე ხმის მიცემის პროცესი.

გარკვეული პროცედურების გავლის შემდეგ, როცა ბიულეტენის მისაღებად მაგიდასთან მივედი, იქ საკმარისი რაოდენობის დამკვირებელი დამხვდა, ხოლო ხმების დამთვლელ აპარატებთან დამკვირვებლები არ იდგნენ.

როცა კაბინაში ჩემთვის სასურველი ნომერი გავაფერადე, ბიულეტენი უბრალოდ გადავაბრუნე. ბიულეტენი 180 გრადუსით არ შემიტრიელებია, დამთვლელ აპარატთან მისულმა კომისიის წევრმა ბიულეტენი მეტად გამომაწევია საქაღალდედან, მაგრამ რაიმე გამონაჟონი ბიულეტენზე არ გამოჩენილა და ვერც გამოჩნდებოდა.

თუ ვინმემ ბიულეტენი გადააბრუნა და შეატრიალა, ე.ი. ბიულეტენის ბოლო წინ წამოსწია, ის ან დარიგებული იყო, ან უბრალოდ შეეშალა, ამიტომ ასეთი ფაქტები მხოლოდ ორ ათეულზე ცოტა მეტი ყოფილა საქართველოში. ასეთი ფაქტები ტოტალურ გაყალბებად არ და ვერ ჩაითვლება.

რაც შეეხება ამომრჩეველთა რაოდენობის ზრდას ბოლნისში, ყველამ იცის, ბოლნისელმა თუ არაბოლნისელმა, რომ ბევრი ბოლნისელი დაბრუნდა რუსეთიდან.

ჩვენ, და არა მარტო ჩვენ, ვისაც ეს ქვეყანა უშენებია, სხვა რამ უფრო გვაშფოთებს: პოლიტიკურმა სპექტრმა და სხვებმაც დაივიწყეს, რომ პარლამენტის წინ 9 აპრილს მოშიმშილეები შეეწირნენ საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნას. მათ დასავლეთ ევროპისაკენ თუ ამერიკისკენ „ტრაექტორიაზე“ არც უფიქრიათ.

**ნუგზარ კობახიძე,**
დამოუკიდებელი ექსპერტი
ჰიდრომშენებლობაში
593 74 82 53

## ნინო ლაცაბიძე:
## ჩვენი პროექტები კიდევ უფრო თანამედროვეს, კომფორტულსა და უსაფრთხოს გახდის რუსთავს

**რუსთავში, თოდრიას ქუჩაზე საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია აქტიურად მიმდინარეობს. თოდრიას ქუჩის მოედნიდან, კაპანაძის ქუჩამდე 13 000 მ$^2$. ფართობზე, ასფალტ-ბეტონის საფარი ეწყობა. ქალაქის მერი ნინო ლაცაბიძე ინფრასტრუქტურის სამსახურის ხელმძღვანელ ზურა ტაბაღუასთან ერთად პროექტის მიმდინარეობას ადგილზე გაეცნო.**

„რუსთავის მერიის გუნდი აქტიურად აგრძელებს იმ ინფრასტრუქტურულ პროექტებს, რომელიც ჩვენს ქალაქს კიდევ უფრო თანამედროვეს, კომფორტულსა და უსაფრთხოს გახდის თითოეული რუსთაველისთვის. სწორედ ამ მიზნებიდან გამომდინარე დაიგეგმა თოდრიას ქუჩის მიმდებარედ საგზაო სამუშაოები, რომელიც უკვე აქტიურ ფაზაშია. უახლოეს პერიოდში, ჩვენს ქალაქს კიდევ ერთი თანამედროვე, კომფორტული და უსაფრთხო ქუჩა შეემატება“, – განაცხადა რუსთავის მერმა ნინო ლაცაბიძემ.

პროექტის მიხედვით, 13 000 მ$^2$ ტერიტორიაზე ახალი ასფალტ-ბეტონის საფარი ეწყობა, განხორციელდა სანიაღვრე ქსელის სრული რეაბილიტაცია და დამატებით 2 სანიაღვრე ჭა მოეწყო, რაც უხვი ნალექის შემთხვევაში, დატბორვის საფრთხეს საგრძნობლად შეამცირებს. მოეწყობა ახალი გაჩერებები და გარე განათების სისტემა, ხორციელდება თოდრიასა და მესხიშვილის ქუჩების გადაკვეთაზე არსებული წრის რეაბილიტაცია, ეწყობა უსაფრთხოების კუნძულები.

რეაბილიტაცია უტარდება მესხიშვილისა და ლეონიძის ქუჩების გადაკვეთაზე არსებულ მოედანსაც, სადაც ასევე უსაფრთხოების კუნძული მოეწყობა. ინფრასტრუქტურული პროექტი სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით ხორციელდება. 2024 წელს, საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების მიზნით, სხვადასხვა სახის სამუშაო რუსთავში 48 ლოკაციაზე ჩატარდა და ორზე მიმდინარეობს.



# უვიზო რეჟიმის დროებით შეჩერებას მთლად გაუქმება აჯობებს!!!




მესამე გვერდიდან

ეშინიათ, ამან საქართველოში ევროსკეპტიკური განწყობები არ გააღვივოს და კიდევ უფრო არ მოწყვიტოს საქართველო ევროპას. ხოლო, ხელისუფლება, რომელიც ჩათვლის, რომ ევროპამ საქართველო უვიზო მიმოსვლის შეჩერებით თავიდან მოიცილა, შესაძლოა, კიდევ უფრო გაამკაცროს პოლიტიკა და აქ განვითარდეს ევროკავშირისთვის არასასურველი პროცესები.

***– რამდენად მიიღებს საპროტესტო აქციები პერმანენტულ ხასიათს და იქონიებს თუ არა ეს გავლენას ევროკავშირის გადაწყვეტილებებზე საქართველოსთან დაკავშირებით?***

– ეს აქციები არ არის მაინცდამაინც მრავალრიცხოვანი და ორგანიზებული. ის, რაც ევროპას სურს, რომ დაინახოს, მასობრივი, სახალხო პროტესტი, ჯერჯერობით არ ჩანს, რაც იქნებოდა გარკვეული სტიმული იმისა, რომ არ ეღიარებინა არჩევნების შედეგები. მათთვის ეს რაოდენობრივი ინდიკატორი არის ძალიან მნიშვნელოვანი და როდესაც ამ რაოდენობრივ ინდიკატორს ვერ ხედავენ, იქ კითხვები ჩნდება, რომ ხალხი მართლაც მოტივირებულია იმისათვის, რომ საკუთარი ხმები დაიცვას და ევროპული ღირებულებების გამო ქუჩაში გამოვიდეს და ა.შ. ასე რომ, დიდი გაურკვევლობაშია ახლა ევროპა.

ამასთან, არის ასეთი ფაქტორი, რომელზეც დღეს არ საუბრობენ – აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგები, რომელიც ახდენს ზეგავლენას იმაზე, თუ რა პოლიტიკას გაატარებს საბჭოთა კავშირის ყოფილ სივრცეზე, იმ ქვეყნების მიმართ, რომლებიც ითვლებიან მის მოკავშირეებად – ესეც შეიძლება იყოს ერთ-ერთი ფაქტორი, თუ რატომ შეიძლება ევროპამ გარკვეული თავშეკავება გამოიჩინოს და არ წავიდეს ასეთ დამსჯელ ღონისძიებაზე, როგორიც არის უვიზო რეჟიმის შეჩერება.

***– დონალდ ტრამპის ადმინისტრაციის პირობებში, რამდენად ელოდებით, რომ საქართველოსა და ამერიკის ურთიერთობები გადაიტვირთოს?***

– ამ ეტაპზე ნამდვილად ნაადრევად მივიჩნევ ამ საკითხზე პროგრნოზების გაკეთებას, რადგან ჯერ ჩვენ უნდა ვნახოთ, როგორი ტიპის პოლიტიკოსებით დაკომპლექტდება ტრამპის ადმინისტრაცია, ვინ იქნება სახელმწიფო მდივანი, ვინ იქნებიან ის ადამიანები, ვინც პასუხისმგებელი იქნება ევროპისა და ევრაზიის საკითხების კურატორობაზე – ბევრი ფაქტორია. სავარაუდოდ, ზეწოლა საქართველოზე, რომ მან გააუქმოს ანტი-ლგბტ კანონი, შეიძლება ისეთი ინტენსიური არ იყოს, როგორიც ახლა არის და ასევე, მოხდეს საკითხების შეჯერება იმასთან დაკავშირებით, თუ რა პოლიტიკა აირჩიოს საქართველომ სამომავლოდ – ვგულისხმობ ჩინეთთან ურთიერთობების გადახედვას. ეს ყველაფერი არის პოლიტიკური ვაჭრობის საგანი. შესაბამისად, საქართველოს ხელისუფლება, მისთვის ამ რთულ პერიოდში, შეეცდება ტრამპის ადმინისტრაციასთან მისთვის მისაღები შედეგები გამოივაჭროს.

ესაუბრა
**ნიკო ჩოხელი**



# არჩილ ჩხოტუა: უცხოეთიდან ჩამოტანილი ჩემი „ფასდაუდებელი ნადავლის“ მადლი...

**მეტად მნიშვნელოვანი მოვლენის მოლოდინშია წლის მიწურულისთვის სამამულო სამეცნიერო საზოგადოება: უახლოეს დღეებში საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში ნამდვილ წევრთა (აკადემიკოსთა) და წევრ-კორესპონდენტთა რიგების შევსებას ელიან. საამისოდ გამოცხადებული კონკურსი სპეციალობების მიხედვითაა დაყოფილი, რომელთაგან „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციის გამორჩეულ ყურადღებას კლინიკური მედიცინის განხრა იპყრობს, სადაც ამ წოდების მოპოვების კანდიდატთა შორის გამოცემის მუდმივი რუბრიკის „ჩვენი ოჯახის უროლოგის“ მთავარი კონსულტანტი, საქართველოს უროოლოგთა ასოციაციის ხელმძღვანელი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი არჩილ ჩხოტუაც არის.**

**დღეს გთავაზოგთ მასთან ინტერვიუს.**

***— ბატონო არჩილ, თავდაპირველად თქვენი პროფესიული არჩევანის შესახებ გვიამბეთ, რამდენად მიზანდასახულად გადაწყვიტეთ ექიმობა?***

— დავიბადე და გავიზარდე თბილისში, ძველებურად თუ ვიტყვით, იმდროინდელი პლეხანოვის უბანში, ექიმების ოჯახში, იქვე დავამთავრე 24-ე საშუალო სკოლა. ექიმები იყვნენ ბებია და ბაბუა, მამა, დეიდა და ბიძა, მოკლედ, დედის გარდა ყველანი მედიკოსები გახლდნენ.

ამდენად, ვფიქრობ, არ უნდა იყოს გასაკვირი, რომ ასეთ გარემოცვაში გაზრდილმა, მეც ექიმობა გადავწყვიტე და სკოლის შემდეგ სწავლა განვაგრძე, როგორც მას იმხანად ეწოდებოდა, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში, რომლის პედიატრიის ფაკულტეტი ქირურგიის სპეციალობით დავამთავრე კიდეც.

***— მაგრამ დღესდღეობით თქვენი პროფესიული და სამეცნიერო საქმიანობის სფერო ერთობ განსხვავდება საბაზისო სამედიცინო განათლების მიმართულებისგან. რამ განაპირობა ეს გარემოება?***

— პროფესიული საქმიანობა 1992 წელს დავიწყე, როცა ალექსანდრე წულუკიძის სახელობის უროლოგიისა და ნევროლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში მივედი, რომელსაც ჩვენი სასიქადულო მედიკოსი, იმ დროს ჯერ კიდევ პროფესორი, ლაურ მანაგაძე ხელმძღვანელობდა.

ჩვენს საზოგადოებას კარგად ახსოვს, თუ როგორი იყო ჩვენი ხალხისთვის გასული საუკუნის ბოლო ათწლეული — მძიმე სოციალური ყოფა, ლამის ერთიანად მოშლილი ინფრასტრუქტურა, რასაც შეიარაღებული დაპირისპირებები და უმძიმესი კრიმინალური ვითარება ერთვოდა... ამდენად, სამედიცინო დაწესებულებებში მუშაობა წარმოუდგენლად რთულ პირობებში გვიხდებოდა, მაგრამ საქმის გამართულად კეთების სურვილი იმდენად დიდი იყო, რომ მას, შესაძლებლობისდაგვარად, თავს მაინც ვართმევდით. ამას ხაზს იმიტომ ვუსვამ, რომ იმ დროს კლინიკებში მუშაობა იმდენად გაუსაძლისი იყო, რომ ბევრმა ჩემმა ინსტიტუტელმა, ჩემი ღრმა რწმენით, უნიჭიერესმა, მეტად პერსპექტიულმა მედიკოსმა, პროფესიიდან წასვლა ამჯობინა, ხელი სხვადასხვა საქმიანობას მიჰყო, საკმაო წარმატებითაც, თუმცა კი ეს მოვლენა ჩვენი მედიცინისთვის მეტად დასანან დანაკლისად მიმაჩნია.

***— როგორ წარიმართა თქვენი მუშაობა პრაქტიკულ სამედიცინო სფეროში?***

— 1993 წელს დავიცავი საკანდიდატო დისერტაცია, რაც უროლოგიაში ჩემი მოღვაწეობის მაშინდელი მასშტაბის გათვალისწინებით, საკმაოდ სერიოზული სამეცნიერო ნაშრომი გახლდათ. ამის შემდეგ, კლინიკაში იერარქიული კიბის უკლებლივ ყველა საფეხური გავიარე.

ჩემს კარიერაში გარდატეხა, გნებავთ გარკვეული ნახტომი, 1999 წელს მოხდა, როცა ჩემმა ხელმძღვანელმა და მასწავლებელმა, აკადემიკოსმა ლაურ მანაგაძემ მითხრა, რომ სურდა ჩვენს კლინიკაში და, საერთოდ, ქვეყანაში, თირკმლის ტრანსპლანტაციის პროგრამა დაეწყო, რისთვისაც მიზნობრივად ისრაელში, თელ-ავივის უნივერსიტეტის ტრანსპლანტოლოგიურ ცენტრში ერთწლიანი სტაჟირების გასავლელად უნდა წავსულიყავი.

***— რამდენადაც ვიცი, სწორედ ისრაელში, თელ-ავივის ტრანსპლანტოლოგიურ ცენტრში, ის თქვენი ერთწლიანი სტაჟირება იყო პირველი იმ მრავალი შემოქმედებითი მივლინებებიდან, რომელთა დროს მიღებულმა გამოცდილებამ და შემდგომ სამშობლოში დანერგილმა მოწინავე მეთოდებმა, საერთაშორისო აღიარება მოგიტანეს. თუ შეიძლება, ამის შესახებ ცოტა ვრცლად რომ გვიამბოთ.***

— თელ-ავივის უნივერსიტეტის ტრანსპლანტოლოგიურ ცენტრში ჩემი მუშაობა უაღრესად მნიშვნელოვანი იყო იმის გათვალისწინებით, რომ ამ უმაღლესი დონის კლინიკაში უამრავი რამ გავიგე, ძალიან ბევრი რამ ვისწავლე. სწორედ ჩემი იქ ყოფნის დროს კლინიკაში იწყებდნენ ცოცხალი დონორიდან პანკრეასის, თირკმლისა და ღვიძლის ტრანსპლანტაციის პროგრამებს, აკეთებდნენ გვამურ გადანერგვებს.

ისრაელში სტაჟირების დროს, გამოვთქვი სურვილი, რომ მონაწილეობა მიმეღო სამეცნიერო კვლევებში, ერთგვარად გამეგრძელებინა საკანდიდატო დისერტაციის თემა, რასაც იქაური ხელმძღვანელობა სრული გაგებითა და დიდი მოწონებით შეხვდა.

კლინიკაში ორი წამყვანი მიმართულება იყო — ერთი პოსტოპერაციული დაკვირვებები თირკმელგადანერგილ პაციენტებსა და დონორებზე, რომელიც, მართალია, თავისთავად საინტერესო კი იყო, მაგრამ ჩემთვის სამკურნალო პროცესში უფრო ჯდებოდა, ამდენად, ერთობ რუტინულად მიმაჩნდა და ნაკლებად მიზიდავდა. მეორე კი გაცილებით სიღრმისეული, ექსპერიმენტული კვლევა იყო, რომელსაც მე დიდ მეცნიერებას ვუწოდებ, რომელიც ტრანსპლანტაციის ერთ-ერთ მოდელს ეხება და თავდაპირველად ვირთაგვებზე ტარდებოდა. მიმამაგრეს კლინიკის დიდ ექსპერიმენტულ განყოფილებაზე, დამინიშნეს იქაური ხელმძღვანელი, შემასწავლეს კვლევების ჩატარების მეთოდიკა.

***— რა შედეგი ჰქონდა ისრაელში თქვენს სტაჟირებასა და რა გავლენა მოახდინა ამ შემოქმედებითმა მივლინებამ შემდგომ მოღვაწეობაზე?***

— იქაურმა სამეცნიერო კვლევების პროცესმა ჩემზე დიდი ზეგავლენა იქონია, რომელთა დროს აუცილებელი იყო ასევე საკუთარი თეორიული ცოდნის გაღრმავება, რისთვისაც აუარება ლიტერატურის გაცნობა მომიწია, რის წყალობით ჩემთვის, ასე ვთქვათ, დიდწილად უცნობ, დიდად საინტერესო სამყაროში აღმოვჩნდი, რამაც მერე უდიდესი სამსახური გამიწია.

საერთაშორისო სამედიცინო საზოგადოებაში ჩვენი შრომის შედეგების გაცნობას დადებითი გამოხმაურებები მოჰყვა, გამოიკვეთა ახალი პერსპექტივები, გაჩნდა იმის ინტერესი, რომ კვლევები აღნიშნული მიმართულებით კვლავაც გაგრძელებულიყო, რისთვისაც იტალიაში, ბოლონიის უნივერსიტეტში სამუშაოდ მიმიწვიეს.

ისრაელში ჩემი ორწლიანი ყოფნის დროს, როგორც წეღან ვთქვი, თირმკლის ტრანსპლანტაციურ ნაწილში 200-ზე მეტ ოპერაციაში მივიღე მონაწილეობა, რის წყალობით საკმაოდ დავხელოვნდი და ის სამეცნიერო ნაშრომი დავიწყე, რომელზეც მუშაობა შემდეგ იტალიაში გავაგრძელე და რისთვისაც სათანადო სამეცნიერო გრანტი მივიღე. ამდენად, ნაშრომის პირველი ნაწილი შევასრულე ისრაელში, მეორე — იტალიაში.




ბუნებრივია, რომ კვლევების შედეგებს დროდადრო ვაქვეყნებდით მაღალი რეიტინგის მქონე სამედიცინო სამეცნიერო ჟურნალებში და მოხსენებებს წარვადგენდით შესაბამის საერთაშორისო ფორუმებზე. ამ მოხსენებებისა და პუბლიკაციების შედეგად, საერთაშორისო სამეცნიერო კვლევებისთვის ცნობილი გახდა ჩვენი მუშაობის შედეგების შესახებ, რასაც ჩემი გერმანიაში, ქალაქ ულმის უნივერსიტეტში სამუშაოდ მიწვევა მოჰყვა, რამაც საუკეთესო პერსპექტივები გამოკვეთა. ულმის უნივერსიტეტის ტრანსპლანტაციურ ცენტრში წარმოებდა ექსპერიმენტები შინაურ ღორებსა და პრიმატებზე, კერძოდ, მაკაკების ჯიშის მაიმუნებზე. ეს იყო უნიკალური შემთხვევა, რადგან უკვე კარგა ხანია, რაც პრიმატებზე ექსპერიმენტების ჩატარება, ეთიკური თვალსაზრისის გამო, ძალიან მკაცრი კონტროლის ქვეშ ხორციელდება, რადგან მიჩნეულია, რომ განვითარების დონით მაკაკები ადამიანთან ყველაზე ახლოს მდგომი ცოცხალი არსებები არიან. თუმცა, ამ სავსებით მისაღები შეზღუდვის პირობებშიც კი, ჩემი კვლევის მესამე ნაწილიც გერმანიაში წარმატებით შესრულდა. ამავე დროს, ჩემი იქ ყოფნის ორი წლის განმავლობაში, სტაჟირებას ასევე უროლოგიასა და ტრანსპლანტოლოგიაშიც გავდიოდი.

ამდენად, ისე გამოვიდა, რომ ისრაელში ჩემმა ერთწლიანმა მივლინებამ თითქმის ხუთი წელი გასტანა და კიდევ ორი ქვეყნის კლინიკები მოიცვა. საბოლოოოდ, 2004 წელს, იქ მიღებული სამუშაოდ დარჩენის უაღრესად ხელსაყრელი პირობების მიუხედავად (განსაკუთრებით ეს გერმანიას ეხება), სამშობლოში დავბრუნდი. მერე მალევე ჩატარებული კვლევების შედეგები გავაფორმე და დავიცავი სადოქტორო დისერტაცია. შემდეგ დავინიშნე თირკმლის ტრანსპლანტაციის პროგრამის ხელმძღვანელად, რა მოვალეობასაც დღესაც ვასრულებ და განვაგრძობ მუშაობას პრაქტიკული მიმართულებით.

თირკმლის ტრანსპლანტაციის ოპერაციები ჩვენს კლინიკაში, აქტიურად, 2002 წლიდან ხორციელდება. ამდენად უროლოგიის ცენტრი არის პირველი სამედიცინო დაწესებულება საქართველოში, სადაც ამ ტიპის ოპერაციებს პროგრამული ხასიათი მიეცა, ვგულისხმობ ცოცხალი დონორებიდან ამ ორგანოს ტრანსპლანტაციას. თამამად შეიძლება ვთქვა, რომ ამ მიმართულებით ჩვენ ვართ ლიდერები არა მარტო საქართველოში, არამედ რეგიონშიც, როგორც ოპერაციების ოდენობით, ასევე მათი შედეგების თვალსაზრისითაც.

გაგრძელება მე-9 გვ.

# ამერიკელი ჟურნალისტები ქართულ ღვინოს და ჩვენს ტურისტულ პოტენციალს ეცნობიან

**ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია ამერიკის შეერთებული შტატებიდან ღვინის ტურიზმის თემაზე მომუშავე ჟურნალისტებს მასპინძლობს, – ამის შესახებ ინფორმაციას ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია ავრცელებს.**

მათივე ცნობით, ბორის ფიშმენი, ნიკოლას ტეილორი ტრიოლო და რონდა რანდოლფი საქართველოს ტურისტული პოტენციალის, კულტურისა და ქართული ღვინის შესახებ სხვადასხვა ამერიკული გამოცემებისთვის, მედიაპლატფორმებისა და სოციალური ქსელების მომხმარებლებისთვის ბლოგებსა და სტატიებს მოამზადებენ.

პრესტურის მონაწილეები გაეცნენ თბილისს, დედაქალაქის ისტორიულ უბნებს, დაათვალიერეს მცხეთა. ამერიკელი ჟურნალისტები კახეთში, წინანდლის მამულებში კინოსა და ღვინის საერთაშორისო ფესტივალს Winecast-ს დაესწრნენ.

ფესტივალის მიზანია ქართული ღვინისა და კულტურის პოპულარიზაცია.

ფესტივალის ფარგლებში ჩატარდა მასტერკლასები, რომლებსაც ქართველი და უცხოელი სომელიეები გაუძღვნენ. პრესტურის მონაწილეები ფესტივალის შემდეგ კარდანახს, ვაზისუბანს და ნატახტარს ესტუმრნენ და გაეცნენ ადგილობრივ სამზარეულოსა და ღვინოს.



# დარიშხანშემცველი ნარჩენები ლენტეხის სოფლებში უპატრონოდ აღარ ყრია!

**ოთარ შამუგია: „მსგავსი მასშტაბის პროექტი სახიფათო ნარჩენების მიმართულებით, ქვეყანაში პირველად ხორციელდება და სამუშაოების დასრულების შემდეგ ეს ტერიტორია მთლიანად იქნება უსაფრთხო“**



**გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ შამუგია და რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებული პაპუნა მარგველიძე, ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ცანაში, დარიშხანშემცველი ნარჩენების უსაფრთხო მართვის მიზნით საცავის მოწყობის მიმდინარე სამუშაოებს ადგილზე გაეცნენ.**

„ძალიან მნიშვნელოვან პროექტს ვახორციელებთ, რომლის მიზანია დარიშხანის შემცველი ნარჩენებით დაბინძურებული ტერიტორიების სრულად მოწესრიგება. პროექტი მოიცავს სამ ფაზას, რომელთაგან ორი უკვე დასრულებულია – ტერიტორია მთლიანად იზოლირებულია, მასშტაბური სამუშაოებია ჩატარებული ნაპირდაცვითი, სალექარი და წყალგამყვანი არხების მოწყობის კუთხით. მომავალი წლის გაზაფხულზე, უკვე დავიწყებთ პროექტის მესამე ფაზას, რომელიც დარიშხანშემცველი ნარჩენების განთავსებისთვის სპეციალური ნაგებობის მშენებლობას ითვალისწინებს. მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ მსგავსი მასშტაბის პროექტი, სახიფათო ნარჩენების მართვის კუთხით, ქვეყანაში პირველად ხორციელდება და სამუშაოების დასრულების შემდეგ ეს ტერიტორია იქნება სრულად მოწესრიგებული და უსაფრთხო“, – განაცხადა ოთარ შამუგიამ.

ლენტეხის მუნიციპალიტეტში არსებული დარიშხანის შემცველი მადნის გადამუშავებით წარმოქმნილი ნარჩენების განთავსების ადგილებზე რთული ეკოლოგიური ვითარება გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან არსებობს. მას შემდეგ, რაც ამ ტერიტორიაზე არსებული სამთო-ქიმიური ქარხნები დაიხურა და დარიშხანშემცველი ნარჩენები ღია ცის ქვეშ, ყოველგვარი კონტროლის გარეშე დარჩა.

როგორც რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულმა პაპუნა მარგველიძემ აღნიშნა, საქართველოს ხელისუფლება ახორციელებს რეგიონისთვის მნიშვნელოვან პროექტს, რომელიც ადგილობრივი მოსახლეობის რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში არსებულ პრობლემას სრულად მოაგვარებს.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით, საქართველოს მთავრობასთან კოორდინაციით და საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტების ჩართულობით, დარიშხანშემცველი ნარჩენების საცავის მოწყობის მიზნით ჩატარდა კვლევები და მომზადდა ანგარიშები. ეფექტიანი ღონისძიებების შემუშავებისა და, შემდგომში, მისი განხორციელების მიზნით, ექსპერტებისა და მოსახლეობის მონაწილეობით, გაიმართა არაერთი საჯარო განხილვა, განისაზღვრა პრიორიტეტები უსაფრთხოების ზომების უზრუნველსაყოფად და დაიგეგმა პირველადი დაცვითი ღონისძიებების ჩატარება.

აღსანიშნავია, რომ სოფელ ძუღარეშში (საიტი – ცანა 1) და სოფელ ყორულდაშში (საიტი – ცანა 3) განხორციელდა დაბინძურებული ტერიტორიების შემოღობვის სამუშაოები, რამაც განაპირობა სახიფათო ტერიტორიაზე ადამიანების და ცხოველების მოხვედრის შესაძლებლობა; დასრულდა მდინარე ყორულდაშის მონოლითური რკინაბეტონის ნაპირსამაგრი ჯებირის, წყალგამტარი არხისა და სალექარის მშენებლობის სამუშაოები. კერძოდ, აშენდა 224 მეტრი სიგრძის დამცავი ჯებირი, რომელიც წყალდიდობის შემთხვევაში დაიცავს დარიშხანშემცველი ნარჩენების სარკოფაგს წარეცხვისაგან; გაკეთდა 350 მეტრის სიგრძის რკინაბეტონის არხი, სარკოფაგის ტერიტორიის დატბორვისა და დაჭაობებისგან დაცვის უზრუნველყოფისთვის.

2025 წელს განხორციელდება პროექტის მესამე ეტაპით გათვალისწინებული ღონისძიებები – 50500 $მ^3$ მოცულობის სარკოფაგის მშენებლობა, დარიშხანის შემცველი ნარჩენების შეგროვება და სარკოფაგში განთავსება.



# ახალ წელს... ახალ ბინებში

**იმერეთის მასშტაბით უსახლკარო, სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის ბოლო ორი წლის განმავლობაში 55-მდე სახლი აშენდა, ხოლო ამ ეტაპზე 10 სახლის მშენებლობა მიმდინარეობს. პროგრამა 5 მუნიციპალიტეტში ხორციელდება და მიზნად ისახავს უკიდურესად შეჭირვებული ოჯახებისთვის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას.**

იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულმა ლევან ზალკალიანმა და სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერმა დავით ბახტაძემ ოთხ ოჯახს სახლის გასაღები გადასცეს და ახალმოსახლეობა მიულოცეს.

სახელმწიფოს გვერდით დგომით აღნიშნული ოჯახები კომფორტულ გარემოში იცხოვრებენ. მანამდე ისინი ავარიულ სახლებში ცხოვრობდნენ, ხოლო მათ საკუთრებაში არსებული შენობები რეაბილიტაციას არ ექვემდებარებოდნენ.

ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით, უსახლკარო ოჯახებისთვის საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის პროგრამა სამტრედიის გარდა, თერჯოლას, წყალტუბოს, ბაღდათსა და ზესტაფონს აქვს.

# ახალი ტურისტული ბილიკი ვიზიტორებისთვის



**ვიზიტორებს ქობულეთის დაცულ ტერიტორიაზე ახალი ტურისტული ბილიკით სარგებლობა შეუძლიათ.**

აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ინფორმაციით, გარემოსთან ადაპტირებული საფეხმავლო ბილიკის მოწყობა, რომლის სიგრძეც 700 მეტრს აღწევს, უკვე დასრულებულია. ამ ეტაპზე დაცულ ტერიტორიაზე გადმოსახედი კოშკურის მშენებლობა მიმდინარეობს. მისი დასრულება 2025 წლისთვის იგეგმება. ტერიტორიაზე ასევე იგეგმება სპეციალური ნიშნულების, მცირე მოსასვენებელი სივრცეებისა და ავტოპარკინგის მოწყობაც. ახალი საფეხმავლო ბილიკით სარგებლობა ვიზიტორებს უკვე შეუძლიათ. შემდეგი წლის შემოდგომაზე, ვიზიტორებს ბილიკთან ერთად შთამბეჭდავი ვიზუალისა და სიმაღლის გადმოსახედი პლატფორმაც მოემსახურება.

ქობულეთში ზღვიდან 500 მეტრში მდებარე ისპანის ტორფნარი სახელმწიფო ნაკრძალია, რომელიც ბიომრავალფეროვნების კუთხით მსოფლიოს უმნიშვნელოვანეს ტორფნარს წარმოადგენს. წელს ის კინტრიშის, მტირალას და კოლხეთის ეროვნულ პარკებთან ერთად UNESCO-ს ბუნებრივი მემკვიდრეობის ნუსხაში შევიდა. ტურისტული ინფრასტრუქტურული განვითარება ქობულეთის დაცულ ტერიტორიაზე, ისპანის ტორფნარზე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროექტი იქნება, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს ეკოტურიზმის განვითარებასა და ვიზიტორთა რაოდენობის ზრდას.

# საზეიმოდ გაიხსნა კომედიის მეათე თეატრალური ფესტივალი




**კულტურის სამინისტროს ინფორმაციით, რუსთავის გიგა ლორთქიფანიძის სახელობის პროფესიული მუნიციპალური დრამატული თეატრი 11-24 ნოემბერს კომედიის მეათე თეატრალურ ფესტივალს მასპინძლობს.**

ფესტივალის საზეიმო გახსნას კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე მაკა გურგენიძე რუსთავის მერთან ნინო ლაცაბიძესთან ერთად დაესწრო.

„ფესტივალის გახსნაში მონაწილეობდნენ თეატრისა და კინოს ცნობილი მსახიობები. საღამოს თეატრმცოდნე ნიკოლოზ წულუკიძე უძღვებოდა. თეატრის დიდ სცენაზე მაყურებელმა ნახა ხულოს პროფესიული დრამატული თეატრის სპექტაკლი „სიყვარულის აგონია“ (რეჟისორი კოტე აბაშიძე).

საფესტივალო პროგრამა მოიცავს 11 თეატრის წარმოდგენებს. ფესტივალის ხასიათი დაარსების დღიდან უცვლელია და რეპერტუარი მხოლოდ კომედიური ჟანრის სპექტაკლებს აერთიანებს.

საგულისხმოა, რომ წლევანდელ ფესტივალზე, მსგავსად გასული წლებისა, ჩატარდება კონკურსი ახალგაზრდა რეჟისორებისთვის, რომელშიც მონაწილეობა სტუდენტ და მაგისტრანტ რეჟისორებს შეეძლებათ. მათ უნდა წარმოადგინონ ეპიზოდები კომედიური ჟანრის პიესებიდან ეტიუდების სახით. კონკურსანტებს ჟიური შეაფასებს, გამარჯვებული კი ფესტივალის დახურვის ღონისძიებაზე გამოვლინდება. ფესტივალის რეპერტუარშია შარშან გამარჯვებული ახალგაზრდა რეჟისორის, თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის სტუდენტის თეიმურაზ დვალის სპექტაკლი „ვახშამი ექვსისთვის“.

აღსანიშნავია, რომ წელს დაწესდა მსახიობ ზურაბ ბერიკაშვილის სახელობის პრემია, რომელიც საუკეთესო მსახიობს გადაეცემა.

კომედიის ფესტივალი მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით იმართება. ფესტივალის სამხატვრო ხელმძღვანელია სოსო ნემსაძე“, - აღნიშნულია ინფორმაციაში.

# ქართული ლიტურგიკული კრებულების კვლევა საერთაშორისო კონფერენციაზე

**საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის სამეცნიერო განყოფილების წარმომადგენლებმა, ჩეხეთში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე „ეპარქიები, ეკლესიები და ისტორიული წყაროები ადრეულ თანამედროვე პერიოდსა და დღევანდელობას შორის“ XVI-XVII საუკუნეების ქართული ლიტურგიკული კრებულის შესახებ მოხსენება წარადგინეს, – ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივი ავრცელებს.**

მათივე ცნობით, ეროვნული არქივის სამეცნიერო განყოფილების უფროსმა ქეთევან ასათიანმა და ამავე განყოფილების მთავარმა სპეციალისტმა ნინო ბადაშვილმა უცხოელ კოლეგებს გააცნეს კვლევა, რომელიც საქართველოს



სიძველეთსაცავებში დაცული ქართული ლიტურგიკული კრებულების, გულანების, შესწავლას ეფუძნება და განსაზღვრავს მათ ადგილს ზოგადად ლიტურგიკულ კრებულებს შორის. მოხსენებაში გაანალიზებული იყო გულანებში შეტანილი ნათარგმნი თუ ორიგინალური ტექსტები, ასევე კრებულების ანდერძ-მინაწერები, რომლებშიც შემონახულია ინფორმაცია სხვადასხვა ისტორიული ფაქტის შესახებ.

ჩეხეთში, ქალაქ ჰრადეც-კრალოვეში, 5-7 ნოემბერს საერთაშორისო კონფერენცია ჰრადეც-კრალოვეს უნივერსიტეტის ორგანიზებით გაიმართა და მასში 20-მდე ევროპული ქვეყნის მეცნიერები და მკვლევრები მონაწილეობდნენ.

# ოკუპირებულ აფხაზეთში კოდორის ხიდი კვლავ ჩაკეტეს

**ოკუპირებულ აფხაზეთში კოდორის ხიდი კვლავ ჩაკეტილია. ხიდი აქციის მონაწილეებმა მას შემდეგ გახსნეს, რაც დაკავებულთა გათავისუფლების შესახებ სიტყვიერი დაპირება მიიღეს, თუმცა ცოტა ხნით.**

ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. პრეზიდენტმა, ე.წ. უშიშროების საბჭოს საგანგებო სხდომა გამართა. ხმაური „რუსული ინვესტიციების შეღავათიანი პირობების შესახებ“ ე.წ. შეთანხმების პროექტს მოჰყვა, რომელსაც ე.წ. პარლამენტმა კენჭი უნდა უყაროს. საპროტესტო აქციები სწორედ ოპოზიციის იმ წარმომადგენლების დაკავების შემდეგ დაიწყო, რომლებიც ამ „შეთანხმების პროექტს“ ეწინააღმდეგებიან.

# ქართლი, როგორც გაროზგილი დედაჩემი, გადატყაულ მუხლისთავზე მისვენია...

## მანანა ჩიტიშვილი

**საიუბილეო თარიღი შეუსრულდა გამოჩენილ ქართველ პოეტს მანანა ჩიტიშვილს. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:**

**ძვირფასო ქალბატონო მანანა!**

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები გულმხურვალედ მოგესალმებიან თანამედროვე ქართული პოეზიის ერთ-ერთ მშვენებას და გილოცავენ ღირსშესანიშნავ თარიღს თქვენს ცხოვრებაში - დაბადების დღეს.

თქვენ ქართველ მწერალთა იმ მცირერეიცხოვან გუნდს განეკუთვნებით, რომე-



ლიც განსაზღვრავს თანამედროვე ქართული სიტყვაკაზმული ლიტერატურის დონეს და მისი განვითარების ჰორიზონტებს. თავად თქვენ კი იმ ნიბლიას გვაგონებთ, ნდობით, მორჩილად რომ მიახლებია მაცხოვარს და მისი თბილი ხელისგულიდან კენკავს ქართულ სიტყვებს, მირონისა და ბადაგის სურნელს რომ აფრქვევენ.

თქვენი პოეტური ნათლობა შორეულ 1972 წელს შედგა, როდესაც გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოაქვეყნეთ პირველი ლექსები. მას შემდეგ ნახევარ საუკუნეზე მეტი გასულა და ამ ხნის განმავლობაში ჩამოყალიბდით პირველხარისხოვან შემოქმედად, რომელიც უყვარს მკითხველს, გემოვნებიან ქართველ მკითხველს... უყვარს თქვენი პოეტური კრებულები, ისეთები, როგორიცაა „ქსანზე“, „ქართლის გზაზე“, რჩეული, ერთტომეული, „მაინც საქართველო ერქვა“, „ასი ლექსი“, „რანაირი გაზაფხული მოვა“, „სიზმრის ანგელოზები“...

ამ კრებულების ლირიკული გმირი გაკრულია მარტოობისა და შეჩვენების ჯვარზე და ივსება სისხლის წვეთებით, ცრემლებიც კი გაქვავებია და ფერად კენჭებად ჰყრია ამაოების ერთ დაუსრულებელ გზაზე. რა სჭირდება და ბევრი არც არაფერი, თონის პურივით ნატეხილი სითბო და ნუგეში და კიდევ ის, რომ მისი ქსნის პირას დაბადებული სიმღერა ცაში ვარსკვლავებად აიჭრას და იქ დაივანოს. გული უკვდება, როცა მის თვალწინ დავიწყების ფერფლით იფარება დიდგორი, როცა გვიგინებენ ანისს, როცა საქართველოს ცაზე ღალატის, ორგულობის, გაუტანლობის ზვავი მოგორავს და წალეკვითა და იავარქმნით გვემუქრება. თქვენი პოეზია იმედით გვავსებს და გვასულდგმულებს, რადგანაც მის ავტორს სიკეთისა და სათნოების, სამართლიანობის და კეთილშობილების გამარჯვებისა სწამს და ეიმედება...

თქვენი პოეზიის საუკეთესო ნიმუშები თარგმნილია ინგლისურ, იტალიურ, ესპანურ, რუსულ, აზერბაიჯანულ, სომხურ ენებზე.

არაჩვეულებრივი ლიტერატურული პორტრეტები შეჰქმენით თქვენი თანამედროვე ქართველი მწერლებისა, რა დიდი სიყვარულით დაგვიხატეთ გიორგი ლეონიძის, ლევან გოთუას, გიორგი შატბერაშვილის, ოთარ ჩხეიძის, თედო ბექიშვილის, ბორენა ჯაჭვლიანის სახეები. მონოგრაფიული გამოკვლევა მიუძღვენით თვალსაჩინო ქართველი პოეტის ნიკოლო მიწიშვილის ცხოვრებასა და შემოქმედებას, რომლისთვისაც ფილოლოგიის დოქტორის წოდება მოგენიჭათ...

სხვადასხვა დროს მუშაობდით ახალგორის რაიონული გაზეთის მთავარი რედაქტორის მოადგილედ, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ-თანამშრომლად, გამომცემლობა „ეროვნული მწერლობის“ რედაქტორად და ყველგან პროფესიონალიზმითა და მოყვასის სიყვარულით გამოირჩეოდით.

თქვენი მრავალწლიანი მოღვაწეობა ღირსების ორდენითა და იაკობ გოგებაშვილის მედლით აღინიშნა. მონიჭებული გაქვთ დავით აღმაშენებლის, ივანე მაჩაბლის, გალაკტიონ ტაბიძის, ვლადიმერ მაიაკოვსკის, მუხრან მაჭავარიანის სახელობის, „მუზას“, „შოთაობის“ პრემიები. წმინდა ნინოს ჯვარი.

ქალბატონო მანანა!

კიდევ ერთხელ სიყვარულით გილოცავთ საიუბილეო თარიღს დიდებულ ქართველ პოეტს, გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და ახალი შემოქმედებითი მწვერვალების დაპყრობას.

**საქართველოს მწერალთა კავშირი**

## ლექსი – სანთელი

**თანამედროვე პოეზიის აღიარებულ წარმომადგენელს, ჩვენს მეგობარს მანანა ჩიტიშვილს ვულოცავ საიუბილეო თარიღს!**

მისი ლამაზი, მთის ნაკადულივით სუფთა და აუმღვრეველი ლექსები, წლებია, ახარებს და აბედნიერებს პოეზიის მოყვარულებს.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ანა კალანდაძის შემდეგ, მანანა ჩიტიშვილი ერთ-ერთი გამორჩეული პოეტია, რომელმაც ასე ამაღლებულად და ღვთაებრივად დაგვიხატა ქალური სამყაროს ფერადოვნება, ის განცდები და განწყობილებები, რაც ასე ახლობელია ყველა ადამიანისათვის.

მისი პოეზია ქართლის ველ-მინედვრებზე მობიბინე ბალახის და მთებზე შეფენილი ნისლების სურნელითაა გაჟღენთილი და წინაპართა დაღვრილი სისხლის მცხუნვარება და ტკივილი ახლავს...

მანანა ჩიტიშვილის ლექსები სამშობლოს სიყვარულის ჰიმნია, რომელსაც ახალგაზრდა თაობები აუცილებლად უნდა ეზიარონ... ხოლო მისი სატრფიალო ლირიკა ქართული მწერლობის დიდ ტაძარში დანთებული სანთელია, რომელიც საოცარ სითბოს და სიკეთეს ასხივებს და პოეზიის მოყვარულებს რწმენით და იმედით ავსებს...

კიდევ ერთხელ ვულოცავ მანანა ჩიტიშვილს იუბილეს და აქვე მისი ლექსის მიხედვით შექმნილ ექსპრომტს ვთავაზობ...

✦ ✦ ✦

**ცხრაჯერ ჩავშალე ნაწნავი,**
**ერთხელაც არვინ ამაჰყვა...**

**მანანა ჩიტიშვილი**

ნეტავ რა უყავ წაწალი?
ცრემლი რადა გდის წამწამებს?
ცხრაჯერ ჩაშალე ნაწნავი,
არვინ ამაჰყვა ნაწნავებს...

მაგ დარდს რას უზამ, ქალშავო?
ან ჭკვაზე შაგშლის, ან მაგკლავს;
ნაწნავი ცხრაჯერ ჩაშალე,
ერთხელაც არვინ ამაჰყვა...

**ბაღათერ არაბული**

### გზად წიწამურთან

იდგა თორმეტი ენკენისთვის,
მზე ოქროს ღვრიდა,
ზედაზნის სერებს
ცის სიმშვიდე ადგა თავდებად,
ვინ სცნას,
რომ სიტყვა „წიწამური“,
ამ მწარე დღიდან,
მამულს ტანჯვად და სისხლისფერად
აუყვავდება.

ჰფენენ წიფლები
გზაზე ფერად ფოთლების ფიქალს
და შემოდგომის ყვავილები
მინდორს აყრია...
„მე ილია ვარ!“ –
ერთმა ფრაზამ,
მაშინ რომ ითქვა,
მთლად საქართველო შეაძრწუნა
და შეარყია.

მოჩანს ტაძარი –
ღვთით ნაკურთხი „ცხოველი სვეტი“,
ფიქრიც მიმოდის,
სხვა სიმაღლით
თრთის და ირწევა,
საგურამოში
მიბრძანდება
ილია ეტლით,
მცირე ხანში რომ ბალდახინად
გარდაიქცევა.

რას მოთქვამს მტკვარი,
ჯვართან ისეც შენამდორები,
მზეც დახრისაკენ მიწურვილა
სხივნამკრთალები
და გზად მიმავალთ
მწუხრისფერი
მცხეთის გორები
მიაცილებენ
ოთარაანთ ქვრივის თვალებით.

ავად დუმს არე,
არც ფოთოლი არ იძვრის კენტი,
მარტოდენ შორით
მოლაღურთა ისმის გოდება
და თბილისიდან
საგურამოს მსრბოლავი ეტლი
სიკვდილს კი არა,
უკვდავებას უახლოვდება.

### რანაირი გაზაფხული მოვა...

ქარი ახლა საალერსოდ მიწვევს,
იამინდა, გადაიღო თოვამ...
ნეტავ, ჩვენ რომ არ ვიქნებით, იმ წელს
რანაირი გაზაფხული მოვა?

კვლავ ეს ფერი თუ ექნებათ ნისლებს?
ამ ცის თაღებს, ცისფრად შემოგარსულთ?
ან ტყემალი ემსგავსება ისევ,
ქორწილიდან გამოპარულ ასულს?

მთებსა ვძრავდით სასურველის პოვნად,
ვგავდით ჟინით მყვირალობის ირმებს.
ან იმ ქვეყნად მიგვდევს ვინმეს ხსოვნა,
ან ამ ქვეყნად ვეხსომებით ვინმეს?!

ქარი ახლა საალერსოდ მიწვევს.
სულს მოსწყურდი... გადაიღო თოვამ,
ნეტავ, ჩვენ რომ არ ვიქნებით, იმ წელს,
რანაირი გაზაფხული მოვა.

### გადაძახილი...

აღარ ვიცი, ვინ ან როგორ შევაჩვენო,
ქსანს და არაგვს უცხო მუმლი მისევია,
ქართლი,
როგორც გაროზგილი დედაჩემი,
გადატყაულ მუხლისთავზე მისვენია.

გვერდით მიდევს ვერცხლისფერი ამულეტი,
თვალს ვარიდებ გადამტვრეულ, პირბლაგვ
მახვილს,
„რა უყავით, რა უყავით მამულები?!“ –
ტირილის ხმით ვიღაც გაღმით გამომძახის.



ეს ხმა ათას ჩემისთანა გულთან დაობს,
ხან მრისხანებს, ხანაც გლოვის ისმის ზარი –
„ვის მიეცით ეს წყალ-ჭალა საიგავო,
უფლისაგან სასოებით ნაბოძვარი?!“

ამობრწყინდი, მზეო, ღამის გამთენებო,
ჩვენ თუ არა, სხვა ვინ შეცვლის ამგვარ
ამინდს...
გაიღვიძეთ, გაიღვიძეთ ქართველებო! –
დამდგარია ტანზე თაფლის წასმის ჟამი.

აღარ ვიცი, ვინ ან როგორ შევაჩვენო,
ქსანს და არაგვს უცხო მუმლი მისევია,
ქართლი, როგორც გაროზგილი დედაჩემი,
გადატყაულ მუხლისთავზე მისვენია.

### დგას შემოდგომა

ხანდახან რაღაც უცნაური
ამიტანს სევდა,
სიო ათრთოლებს
შეყვითლებულ, გამხმარ ბალახებს,
მე ბრმა ვარ,
რადგან სხვას შენს გარდა
ვერავის ვხედავ,
შენც ბრმა ხარ,
რადგან ჩემი თავი ვერ დაგანახე.

ქარი არაგვის ვრცელ ჭალაზე
მიიმტვრევს მუხლებს,
დგას შემოდგომა
და ფოთოლთა ცვენა მაღონებს,
მე ყრუ ვარ,
რადგან სხვას შენს გარდა
ვერავის ვუსმენ,
შენც ყრუ ხარ,
რადგან ერთი სიტყვაც ვერ გაგაგონე.

### ლექსებს ვკითხულობ

ღმერთო, მომმადლე მოთმენის ნიჭი,
დამბადე მწყემსად ანდა – ქვითხუროდ,
გთხოვ, მაპატიო, მე როცა მიჭირს,
ლოცვების ნაცვლად ლექსებს ვკითხულობ.

იდგა დარი თუ გრიგალს მივქონდი,
სულ მწამდა, უცხო ნაპირს ვნახავდი,
ვერ დავიურვე მაინც სტრიქონი,
ვერ მოვიხადე ლექსის სახადი.

ნურვინ ჩამითვლის სურვილს აუგად,
მუდამ მლოცველი ვიყავ ამ მიწის,
რა ვქნა, თუ იის ეშხმა დამბუგა,
ბროწეულების ცეცხლში დავიწვი.

ქარი რომ ნისლის ბაირაღს გაშლის,
გულო, დარდით ნუ დამეხურები,
შორს ვარსკვლავები ბრწყინავენ ცაში,
როგორც იესოს ნაფეხურები.

ღმერთო, მომმადლე მოთმენის ნიჭი,
დამბადე მწყემსად ანდა – ქვითხუროდ,
გთხოვ, მაპატიო, რომ როცა მიჭირს,
ლოცვების ნაცვლად ლექსებს ვკითხულობ.



# ტრამპის ტრიუმფალური დაბრუნება

**არც ერთი ქვეყნის ლიდერის არჩევნებს არ განიხილავს მსოფლიო ისეთი ყურადღებით, როგორც ამერიკის შეერთებული შტატების. ეს კი, მიუთითებს იმაზე, რომ ამერიკა ნამდვილი ზესახელმწიფოა. საპრეზიდენტო არჩევნებში დონალდ ტრამპის გამარჯვებას სამყარომ მისი ტრიუმფალური comeback, ანუ დაბრუნება უწოდა. დაბრუნება კი, ნამდვილად შთამბეჭდავია. გვახსოვს, 2020 წლის საპრეზიდენტო არჩევნები მან წააგო, მაგრამ შედეგები არ აღიარა, არ დანებდა და ბრძოლა განაგრძო. მაშინ წაგებულმა ტრამპმა არა მხოლოდ ლიბერალური ელიტა აიმხედრა, არამედ საკუთარი ადმინისტრაციის წევრები, თანაპარტიელები და შოუბიზნესიც კი, მაგრამ ყველა პოლიტიკური წინააღმდეგობა გადალახა, მათ შორის, ორი იმპიჩმენტი, ნაირ-ნაირი სასამართლო პროცესები და დაპატიმრების მუქარები. მკვლელობის ორ მცდელობასაც გადაურჩა სასწაულებრივ. ახლა კი სრულიად დამსახურებულად დონალდ ტრამპი თავის პოლიტიკურ ტრიუმფს ზეიმობს.**

**თუ ახლანდელ არჩევნებს 2016 წლისას შევადარებთ, ტრამპმა ის არა მხოლოდ ამრჩევთა კოლეგიის 277 ხმით, არამედ ხალხის ხმათა უმრავლესობითაც მოიგო. შვიდ მერყევ შტატშიც გაიმარჯვა. სხვების გარდა, გამარჯვება პრეზიდენტმა ბაიდენმა და მისმა საარჩევნო მეტოქემ, კამალა ჰარისმაც მიულოცა. დემოკრატებმა კი, არა მხოლოდ საპრეზიდენტო არჩევნებში, არამედ სენატსა და წარმომადგენელთა პალატაშიც იწვნიეს მარცხი. ასე რომ, მომავალი კონგრესი რესპუბლიკელების ხელში იქნება. ლიბერალურ მასმედიაში გაუთავებელი ბჭობაა, რატომ წააგეს დემოკრატებმა ასე მწარედ. პასუხი კითხვაზე ზედაპირზე დევს: ლიბერალებს სიმართლისთვის თვალის გასწორება უჭირთ. ხალხმა ლიბერალები მათი ამპარტავნული საქციელის გამო დასაჯა. მოსახლეობა გადაიღალა გენდერულ პოლიტიკაზე, ლგბტ-ზე და ოჯახის ინსტიტუტზე ლაპარაკით, მაშინ, როდესაც მათ უბრალო ცხოვრებისეული პრობლემები უფრო აწუხებთ: უმუშევრობა, ინფლაცია, ფასების ზრდა, მიგრანტების მოზღვავება და ასე შემდეგ.**

ბოლო სოციალურმა გამოკითხვამ დაამტკიცა ეს. საგარეო პოლიტიკა მოსახლეობის მხოლოდ 10 პროცენტს აინტერესებს. მაგალითად, უკრაინის ომი და სხვა საკითხები. ტრამპმა და მისმა გუნდმა ხალხს ყური დაუგდო, და ამიტომაც გაიმარჯვა. ნიუ-იორკ ტაიმსმა დაწერა, ტრამპი და ტრამპიზმი ამერიკელთა შეშლილობა კი არაა, ისინი მასების განწყობის სპიკერებიაო. ამიტომ, ჩვენ მასებს უნდა შევუერთდეთ და ყური მივუგდოთ იმას თუ ხალხს რა აწუხებს. ტრამპის მომავალი პოლიტიკისგან, დიდ სიურპრიზებს არ უნდა ველოდოთ. ქვეყნის შიგნით, ეს იქნება ხისტი მიგრაციული პოლიტიკა, უარი მწვანე პოლიტიკასა და ენერგორესურსების რეგულაციაზე, ანუ გაზისა და ნავთობის საბადოების ბურღვა მეტი მოგებისთვის, გენდერული პოლიტიკის დაგმობა და აბორტის შესახებ კანონის გამკაცრება. საგარეო პოლიტიკაში, ფოკუსი ჩინეთზე, ანუ ტარიფების დაწესების გზით, მასთან სავაჭრო ომის გამოცხადება. რუსეთთან დაკავშირებით დასავლელი ანალიტიკოსების აზრით, ტრამპი მაინც ხისტი იქნება. ტრამპი არ არის რუსეთის მეგობარი. მისი შედარებით რბილი რიტორიკა არაფერს ნიშნავს. ის, უბრალოდ, პოპულისტია. უკრაინის საკითხში, ომის დამთავრებას შეეცდება, მაგრამ მხოლოდ მისი პირობებით. თუ ტრამპი დაინახავს, რომ რუსეთი არ ეთანხმება, მდგომარეობის გამწვავებას არ მოერიდება. ტრამპს სულ არ ადარდებს უკრაინა მოიგებს თუ წააგებს. მისთვის მთავარია, ამერიკამ მოიგოს. საკითხავი ისაა, რუსეთი თუ გაიზიარებს მის ასეთ მიდგომას.

ამერიკის არჩეული პრეზიდენტი ანტიჩინური კოალიციის შექმნას ეცდება. არც რუსეთი და არც გლობალური სამხრეთი არ აპირებს ჩინეთთან დაპირისპირებას. ტრამპი კი, არც რუსეთს და არც დანარჩენ სამყაროს არაფერს არ დაუთმობს ამ საკითხში. საერთაშორისო არენაზე ის ყველა მოთამაშეს ყველაფერზე შესაბამის საფასურს მოსთხოვს. გამონაკლისი არ იქნება! სხვანაირად რომ ვთქვათ, ტრამპი ნატოს წინააღმდეგი კი არაა, არამედ მეტ კონკრეტულ პასუხისმგებლობას მოითხოვს ევროპისგან.

# ამერიკას ევროპაც აჰყვა და ჩინეთს სავაჭრო ომი გამოუცხადა



**ომი ელექტრონული ავტომობილების ინდუსტრიას ეხება. გადაწყვეტილების მიღებაზე ევროკავშირი ერთი წლის განმავლობაში ჭოჭმანობდა. მიმდინარე წლის ზაფხულის ბოლოს ევროკავშირის ლიდერმა ურსულა ფონ დერ ლაიენმა, ოფიციალურად განაცხადა, რომ ალიანსი ჩინური ელექტრომობილების იმპორტზე 15-პროცენტიანი ტარიფის დაწესებას აპირებს. ცოტა ხნის შემდეგ კი, ბრიუსელმა ტარიფის გაზრდა 45 პროცენტამდე გადაწყვიტა. საკითხთან დაკავშირებით, ბრიუსელში ევროკომისიის სხდომა შედგა, რომელსაც ევროკავშირის 27-ვე ქვეყნის წარმომადგენელი დაესწრო. ასეთ სხდომებს ევროპული მედია მეტ-ნაკლები ყურადღებით ადევნებს ხოლმე თვალს, მაგრამ ახლა, საკითხის სიმწვავემ პრესის ყურადღება მიიპყრო, რადგან ცნობილი გახდა რომ, საკითხის თაობაზე ევროკავშირის წევრებს შორის უთანხმოება გაჩნდა. ევროპა სამ ჯგუფად გაიყო: პირველი საფრანგეთის ლიდერობით ჩინეთის დასჯას მოითხოვდა; მეორე ჯგუფს ნეიტრალურ პოზიცია ეკავა. მესამე კი გერმანიისა და უნგრეთის ლიდერობით მკვეთრად ეწინააღმდეგებოდა ჩინეთის მიმართ გაზრდილი ტარიფების დაწესებას.**

კენჭისყრის შედეგებით თუ ვიმსჯელებთ, ტარიფების დაწესების მომხრეებმა მოიგეს, მაგრამ აშკარა გახდა, რომ ჩინეთის თემაზე ევროკავშირში ბზარია გაჩენილი. ალიანსის 27 წევრი ქვეყნიდან, ხუთი გადაწყვეტილების წინააღმდეგ წავიდა, 12-მა თავი შეიკავა და დანარჩენმა 10-მა მხარი დაუჭირა. ასე და ამგვარად, ნოემბრიდან, ჩინურ ელექტრომობილებზე 45-პროცენტიანი ტარიფი დაწესდება, რაც ჩინური ელექტრომანქანების ფასს მნიშვნელოვნად გაზრდის.

ჩინეთის მთავრობას ევროკავშირის გადაწყვეტილებაზე მკვეთრად უარყოფითი რეაქცია ჰქონდა. შედეგად, სავაჭრო ორგანიზაციაში სარჩელი შეიტანა. მოგვიანებით კი, საპასუხოდ, ევროპას ზოგიერთი ბრენდისა და ღორის ხორცის იმპორტზე ტარიფები დაუწესა. ჩინეთს რომ ასეთი რეაქცია ექნებოდა, ბრიუსელმა ძალიან კარგად იცოდა. სწორედ ამაზე აფრთხილებდა ბრიუსელს გერმანიისა და უნგრეთის მთავრობა. გერმანული ავტომობილების ექსპორტის დიდი ნაწილი ჩინეთზე მოდის. გარდა ამისა, გერმანიის ავტომობილების მწარმოებელ თითქმის ყველა კომპანიას ჩინეთში აქვს ქარხნები. ისინი შიშობენ, რომ ჩინეთი ევროპის ავტომობილებზე ტარიფებს დააწესებს, რითაც გერმანიის ავტოინდუსტრია შესამჩნევად დაზარალდება.

რაც შეეხება უნგრეთს, ის შიშობს, რომ ტარიფების შემოღება ჩინეთს აიძულებს, უარი თქვას უნგრეთში დიდი ელექტრმობილების ქარხნის აშენებაზე. გერმანიის ავტოინდუსტრიის ასოციაციის წარმომადგენელმა ტარიფების შემოღება აღწერა, როგორც თავისუფალ გლობალურ ვაჭრობაზე, შესაბამისად, კეთილდღეობაზე, სამუშაოს უსაფრთხოებასა და ევროპული ეკონომიკის ზრდაზე დარტყმა. ჩვენ გვესმის, რომ პრობლემა არც ისე მარტივია, მაგრამ პრობლემები დიალოგის გზით უნდა მოგვარდეს, განაცხადა მან. ევროკავშირი და მისი წევრი ქვეყნები, საფრანგეთის ლიდერობით, საკითხს სულ სხვა თვალით უყურებენ. მათი აზრით, ჩინეთის ავტოინდუსტრია დიდი პრივილეგიებით სარგებლობს, კერძოდ, ჩინეთის მთავრობა დარგს სუბსიდირებას უწევს. ამიტომაა ჩინური ელექტრომობილი ევროპულზე იაფი, რაც არათანაბარ კონკურენციას იწვევს.

სტატისტიკაც ამაზე მეტყველებს: ბოლო ორ წელიწადში ევროპის ბაზარზე ჩინური ელექტრომობილების რაოდენობა 8-დან 20 პროცენტამდე გაიზარდა. ექსპერტების აზრით, ასე თუ გაგრძელდა, ევროპის ბაზარს ჩინური ელექტრომანქანები წალეკავს. ამერიკა კიდევ უფრო მკაცრ ზომებს იღებს. ამას წინათ, ბაიდენის ადმინისტრაციამ ახალი კანონპროექტი წარუდგინა კონგრესს, რომელიც ჩინეთიდან ავტომობილების იმპორტს მთლიანად კრძალავს. ამას თეთრი სახლი იმით ამართლებს, რომ თანამედროვე მოწყობილობებითა და პროგრამული უზრუნველყოფით აღჭურვილი ავტომობილები ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოებისთვის საშიშია, რადგან კამერებითა და სენსორებით ჩინეთს ამერიკელი მოქალაქეების პირადი მონაცემების შეგროვება და ამ გზით ქვეყნის საბოტაჟი შეუძლია.

ამ აზრს იზიარებს კანადაც, რომელმაც, ფაქტობრივად, აკრძალა ჩინეთიდან ელექტრომობილების იმპორტი. თურქეთმა კი, ევროპული მიდგომა აირჩია. მან 40-პროცენტიანი ტარიფი დააწესა. სპეციალისტების აზრით, ტარიფების ომი კიდევ უფრო დამძიმდება, რადგან დასავლეთმა ეკონომიკური სიმძლავრის მწვერვალს მიაღწია. დასავლეთი, მუშახელის სიძვირის გამო, კარგა ხანია, ვეღარ უწევს კონკურენციას აზიის ქვეყნებს. ამიტომ დასავლეთში მოდაში შემოდის ეკონიმიკური პროტექციონიზმი, ანუ სამამულო წარმოების უცხოური კონკურენციისგან დაცვა. დონალდ ტრამპი ამას ხმამაღლა ამბობს. დასავლეთის სხვა პოლიტიკოსები კი, ამ აზრს ჩურჩულით ახმოვანებენ, რადგან ისინი ყოველთვის მსოფლიო ღია ბაზრის შესახებ ქადაგებენ. ახლა კი, ამ ღია ბაზარმა დასავლეთის ეკონომიკური დასუსტება გამოიწვია.



**ნუგზარ ბ. რუხაძე,**
**POSTV**




# არჩილ ჩხოტუა: უცხოეთიდან ჩამოტანილი ჩემი „ფასდაუდებელი ნადავლის“ მადლი...

მეხუთე გვერდიდან

***– როგორ გაგრძელდა თქვენი სამეცნიერო მუშაობა სამშობლოში?***

– წეღანაც აღვნიშნე, რომ საზღვარგარეთ ხუთწლიანი მივლინების პერიოდში დიდძალი თეორიული ცოდნა შევიძინე და პრაქტიკული გამოცდილება მივიღე და ამ, ასე ვთქვათ, „ფასდაუდებელი ნადავლის“ დაკარგვა არ მინდოდა, ამიტომაც კვლევები დიდი ხალისით განვაგრძე. უკვე ვახსენე, რომ ექიმობა ყოველთვის მიტაცებდა, მაგრამ ამ სფეროში მეცნიერულ კვლევებს ჩემთვის მუდამ განსაკუთრებული ხიბლი ჰქონდა. როგორც პრაქტიკოსმა ექიმმა ჩემს მიზანს ნამდვილად მივაღწიე, ამის თქმა თამამად შემიძლია, მაგრამ როგორც მკვლევარს კიდევ ძალიან ბევრის გაკეთების სურვილი მაქვს. პროფესიული მოღვაწეობის ამ ორივე მიმართულების თანაზომიერად განხორციელების შესაძლებლობა კი უბრალოდ ფიზიკურად ურთულესი საქმეა: სრული დატვირთვით მუშაობა კლინიკაში, თანაც ქირურგიის ისეთ ურთულეს განხრაში, როგორიცაა ტრანსპლანტოლოგია, კიდევ ყოველდღიურად ათეულობით ამბულატორიული პაციენტის მიღება და ამის პარალელურად დიდი მეცნიერების კეთება, დამეთანხმებით, ძალიან ძნელია.

***– თქვენი ნებართვით, ჩვენი საუბრის ერთ მონაკვეთს დავუბრუნდები, რომელიც საზღვარგარეთ კლინიკებში მუშაობის შედეგებს ეხება. თქვენ ახსენეთ, რომ საერთაშორისო სამედიცინო საზოგადოებამ დადებითად შეაფასა თქვენი მრავალწლიანი სამუშაოს შედეგები. თუ შეიძლება ამის თაობაზე უფრო კონკრეტულად რომ გვიამბოთ.***

– უნდა გითხრათ, რომ ჩემი მუშაობის შედეგები გამოქვეყნდა მსოფლიოს თითქმის ყველა მაღალრეიტინგულ სამეცნიერო სამედიცინო ჟურნალში, რაც თავისთავად მათ მაღალი ღირებულების ინდიკატორად შეიძლება მივიჩნიოთ. გარდა ამისა, ჩვენ რამდენიმე მნიშვნელოვანი სამეცნიერო პრიზიც მივიღეთ – პირადად მე და ჩემი ჯგუფის წევრებმა. მაგალითად, მიღებული მაქვს პრიზი საუკეთესო სამეცნიერო ნაშრომისთვის გერმანიის უროლოგთა ასოციაციის კონგრესზე, გარდა ამისა გავხდი არაერთი სოლიდური საერთაშორისო გრანტის მფლობელი. კიდევ შემიძლია გითხრათ, რომ ავიღეთ პრიზი საუკეთესო ექსპერიმენტული ნაშრომისთვის ისრაელის ტრანსპლანტოლოგთა საერთაშორისო კონგრესზე. კიდევ არაერთი სხვა ჯილდოც გვაქვს მიღებული კოლეგებთან ერთად.

***– საქართველოში ჩატარებულ კვლევებს თუ ჰქონდა საერთაშორისო რეზონანსი?***

– ჩვენს კლინიკაში ჩატარებული კვლევების შედეგები პუბლიკაციების სახით გამოქვეყნებული გვაქვს ცხრამეტ საერთაშორისო მაღალრეიტინგულ ჟურნალში. მეტიც: ჩვენი კვლევების შედეგები გამოქვეყნდა ასევე ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროპის რამდენიმე ქვეყანაში გამოცემულ წიგნებში ცალკეული თავების ფორმით, რაც უდიდესი აღიარებისა და პატივისცემის ნიშანია. ეს რაც შეეხება ონკოლოგიის მიმართულებას, რომელიც, კერძოდ, მოიცავს თირკმლისა და პროსტატის კიბოთი დაავადებულ პაციენტების მკურნალობას, ვინაიდან ამ ორი ტიპის, განსაკუთრებით კი პროსტატის ავთვისებიანი სიმსივნე, საქართველოში ძალიან არის გავრცელებული. თირკმლის კიბო კი ჩვენთვის განსაკუთრებით მწვავეა პაციენტთა მაღალი სიკვდილიანობის გამო.

მეორე მიმართულება, რომლითაც ჩემი ინიციატივით მუშაობა წავმართეთ, ტრანსპლანტოლოგია გახლდათ. კერძოდ, შევისწავლეთ ჩვენი დონორების, ანუ იმ ჯანმრთელი ადამიანების პოსტოპერაციული მდგომარეობა, მათი ცხოვრების ხარისხი, რომლებმაც თავიანთ ახლობლებზე თირკმელი გასცეს და ეს პარამეტრები იმ პირთა ცხოვრების მაჩვენებლებს შევადარეთ, რომელთაც ამ ტიპის ოპერაცია ჩაუტარდათ, ვთქვათ, დაავადების გამო. იმ დროს ამ საკითხისადმი მიძღვნილი კვლევები და პუბლიკაციები თითქმის არ იყო, ამდენად მან საერთაშორისო სამედიცინო წრეების დიდი ყურადღება მიიპყრო. ჩვენი მონაცემები მოვახსენეთ როგორც ამერიკის შეერთებულ შტატებში გამართულ უროლოგთა ორ საერთაშორისო კონგრესს, ასევე გამოვაქვეყნეთ მაღალი სამეცნიერო რეიტინგის მქონე სამეცნიერო ჟურნალში.

ჩვენი კვლევების შემდეგ ეტაპზე შევისწავლეთ უკვე ხელოვნურ თირკმელზე ანუ დიალიზზე მყოფი პაციენტების ცხოვრების ხარისხის პარამეტრები (ასეთი კი მარტო საქართველოში სამი ათასი კაცია!) ისინი მუდმივად, კვირაში სამჯერ, კლინიკაში პროცედურებზე დადიან და 3-4 საათის განმავლობაში აპარატს არიან მიჯაჭვულნი. მათი ფსიქო-სოციალური პარამეტრები შევადარეთ თირკმელგადანერგილი პაციენტების მდგომარეობას და ვაჩვენეთ, რომ ორგანოს გადანერგვის შემდეგ მათი ცხოვრების ხარისხი მნიშვნელოვნად, ნახტომისებურად უმჯობესდებოდა და თითქმის სრულიად ჯანმრთელი ადამიანისას უტოლდებოდა.

ამით ჩვენ ვაჩვენეთ, რომ თითრკმლის ტრანსპლანტაცია, არათუ ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებით ხასიათდება, არამედ უკავშირდება ცხოვრების ხარისხის ნორმალიზაციას. სიხარულით იმის თქმაც მინდა, რომ ჩვენთან თირკმლის ტრანსპლანტაციის შემდგომ პაციენტები ოჯახდებიან, შვილებს აჩენენ, მუშაობას იწყებენ, ფაქტობრივად, სრულფასოვან ნორმალურ ცხოვრებას უბრუნდებიან.

ჩვენს ამ გამოკვლევასაც ფართო გამოხმაურება მოჰყვა, შედეგები გამოქვეყნდა ამერიკის შეერთებული შტატებისა და რიგ ევროპულ ქვეყანაში გამოშვებულ სამეცნიერო მონოგრაფიებში ცალკე თავების სახით. ამ შედეგების შესახებ ჩვენ მოვახსენეთ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზეც.

***– შემდეგ როგორი იყო თქვენი სამეცნიერო მუშაობა? რა სიახლეები მოხდა ბოლო წლებში?***

– 2011 წელს, ასევე მიზნობრივი სტაჟირებით, გახლდით ამერიკის შეერთებულ შტატებში, ნიუ-იორკის ორ – ბრონქსისა და მანჰეტენის კლინიკაში, სადაც ტრანსპლანტოლოგიასა და დიალიზის საკითხებს ძალიან მაღალ დონეზე იკვლევენ. იქ რამდენიმე თვე დავყავი, რა დროსაც დიალიზის პაციენტებზე ოპერაციების გარკვეული ახალი მეთოდიკები ავითვისე, რომელიც ჩამოსვლის შემდეგ ჩვენს ცენტრში დავნერგეთ. ეს მიმართულებაც ძალიან წარმატებული აღმოჩნდა და ორ წელიწადში საქართველოში ამ მხრივ ლიდერები გავხდით.

ამ მიმართულებით, პირადად მე, ორი ათასზე მეტი ოპერაცია მაქვს გაკეთებული, ისე კი მათი რიცხვი გაცილებით მეტია, ამდენად ამ პროფილით დიდძალი ფაქტობრივი მასალა დაგვიგროვდა, ამიტომ 2017 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოვეცი 450-გვერდიანი წიგნი, რომელიც სადიალიზო მიდგომებში ინოვაციებს ეხებოდა. ის ძალიან მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს და ჩემთვის ერთ-ერთი ყველაზე მეტად საამაყო ნაშრომია (ცხადია ეს, მხოლოდ სუბიექტური გრძნობაა!)

გარდა ამისა, ისიც უნდა ვთქვა, რომ ვინაიდან სამეცნიერო კვლევები ჩვენი დაწესებულების მუდმივი მხარეა, ჩვენს კოლექტივს და პირადად მეც, რამდენიმე ნაშრომი გვაქვს, რომელთა გამოცემაში აქტიური მონაწილეობა გვაქვს მიღებული. ერთ-ერთი მათგანია მამაკაცებში პროსტატის მკურნალობის ახალი ტექნოლოგია, რომელიც, კერძოდ, უროსტენტირების მეთოდს ეძღვნება, რომელიც იმავე პრინციპისაა, რაც ცნობილი გულის სისხლძარღვთა სტენტირების ტექნიკა.

ეს იყო მულტიცენტრული კვლევა, რომელშიც ჩვენი უროლოგიის ცენტრის მკლევართა გარდა, მონაწილეობდნენ ამერიკის შეერთებული შტატების კოლორადოს, ავსტრალიის, ტაივანის და კანადის ტორონტოს უნივერსიტეტების კლინიკების სპეციალისტები. ამდენად, გამოვიდა ხუთი სამეცნიერო ცენტრის ერთობლივი ნაშრომი, რომლის შემუშავების და შემდგომში დანერგვის პროცესის აქტიური მონაწილე გახლდით, რა დროსაც ოთხჯერ ვიყავი ამერიკის შეერთებულ შტატებში.

გამოვყოფდი კიდევ ერთ სამეცნიერო ნაშრომს – ესაა ასევე მულტიცენტრული კვლევა, რომელიც ეხება ფაგოთერაპიის ეფექტურობას საშარდე გზების ინფექციების მკურნალობაში. ცნობილია, რომ ფაგოთერაპიის სფეროში საქართველო მსოფლიოში ერთ-ერთი მოწინავე ქვეყანაა და სწორედ გიორგი ელიავას მიერ დაარსებული თბილისის ბაქტერიოლოგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტმა (ე. წ. ბაქტერიოფაგთან), ციურიხის უნივერსიტეტის ცენტრმა და ჩვენი უროლოგიის ეროვნულმა ცენტრმა ერთოლბივად შევისწავლეთ ფაგების გამოყენების შესაძლებლობები საშარდე გზების ინფექციების დროს. კვლევის შედეგებიც მაღალი რეიტნგის მქონე სამეცნიერო ჟურნალებში, მათ შორის სახელგანთქმულ „ლანცეტში“ დაიბეჭდა.

დაბოლოს, კიდევ ერთ წიგნზე, კერძოდ, სახელმძღვანელოზე მინდა შევაჩერო თქვენი ყურადღება, რომელიც თირკმლის ტრანსპლანტაციას ეძღვნება, რომელიც ევროპის უროლოგთა ასოციაციამ 2017 წელს გამოსცა და რომელიც ამ საკითხისადმი მიძღვნილი სამაგიდო წიგნია დარგის სპეციალისტებისთვის. მასში ერთი თავის ავტორი თქვენი მონა-მორჩილი გახლავართ, რაც ჩემთვის ძალიან დიდი პატივია და სიამაყის საფუძველიც. მახსოვს, ეს წიგნი რომ გამოვიდა, რომელიც იმთავითვე საერთაშორისო სამედიცინო საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოექცა, ჩემი ისრაელელი ხელმძღვანელი შემეხმიანა, წარმატება მომილოცა და მითხრა, ამაყი ვარ, რომ ერთად მუშაობამ მოგვიწია.

ახლა მხოლოდ იმის თქმაღა დამრჩა, რომ სამეცნიერო საქმიანობის პარალელურად, კლინიკაში ყოველდღიური მუშაობა ძალიან დიდ ძალისხმევას მოითხოვს, რასაც ბევრი ენერგია სჭირდება. მეც ვცდილობ, საქმეს პირნათლად გავუძღვე!

***– ბატონო არჩილ, გმადლობთ საინტერესო საუბრისთვის, გისურვებთ წარმატებას თქვენს ყოველდღიურ საქმიანობაში, პირად ცხოვრებასა და დასახულ მიზანთა მიღწევაში!***

ესაუბრა

**ოთარ ტურაბელიძე**

იკვლევენ საფრთხის შემცველ პროდუქტებს

## ბავშვებისთვის საშიში სათამაშო, რომელმაც, შესაძლოა, კიბოს უჯრედების ფორმირება გამოიწვიოს!



ფერადი ე.წ. ტყლარწი ჯანმრთელობის არაერთ და, ხშირად, გამოუსწორებელ პრობლემას იწვევს.

**ქართული ბაზრიდან აღებული სათამაშოები, დეტალური კვლევისთვის ზედამხედველობის სააგენტომ თურქეთის აკრედიტებულ ლაბორატორიაში გაგზავნა. ფერად ე.წ. ტყლარწებში ისეთი ქიმიური ნაერთი აღმოაჩინეს, რომელიც ჯანმრთელობის არაერთ და, ხშირად, გამოუსწორებელ პრობლემას იწვევს. აღმოჩენილი ბორი ბავშვის ორგანიზმში ადვილად შეიძლება მოხვდეს ქიმიურად დაბინძურებული სათამაშოს შეხებითაც. კანიდანაც კარგად შეიწოვება, ამიტომ ქრონიკულად ასეთი სათამაშოების მოხმარებამ შეიძლება მისი დაგროვება გამოიწვიოს. სიმპტომები რომლითაც ხასიათდება ბორით ინტოქსიკაცია, ეს არის თავის ტკივილი, სისუსტე, გულისრევა, მუცლის ტკივილი, ალოპეცია ანუ თმის ცვენა, კუნთების კრუნჩხვები, უფრო დიდ ასაკში მენსტრუალური ციკლის დარღვევა და სექსუალური ჰორმონების არევა. იმდენად ტოქსიკურია, რომ შეიძლება, ლეტალობაც კი გამოიწვიოს.**

საშიში სათამაშოების ჩამონათვალში მოხვდა ჩვილებისთვის განკუთვნილი ე.წ. საჩხაკუნო სათამაშოები. პლასტმასის სათამაშოებს, რომელთაც აქვთ პატარა ნაწილაკები, კვლევის აღწერაში განმარტებულია გაგუდვის საფრთხე.

რისკის მინიმუმამდე შემცირებაში თანამონაწილეობა შეუძლია მომხმარებელსაც. ზედამხედველობის სააგენტოს აქვს ვალდებულება, სათამაშო შეამოწმოს მოქალაქის მიმართვის საფუძველზეც. თუ გაქვთ ეჭვი ან ინფორმაცია, რომ სათამაშო საშიშია ბავშვის ჯანმრთელობისთვის შეგიძლიათ დატოვოთ განაცხადი შესაბამის ვებგვერდზე.

ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების გათვალისწინებით, სათამაშოების ხარისხზე კონტროლი საქართველოში 2021 წლიდან ამოქმედდა. ახლა ქვეყანაში საშიშ სათამაშოებს შორის ერთ-ერთი ყველაზე სარისკო პროდუქტად ე.წ. ტყლარწები ითვლება. იმისთვის, რომ თამაში მხოლოდ პოზიტიურ კონტექსტთან ასოცირდებოდეს, მეტი პასუხისმგებლობა მართებთ რეალიზატორებსა და სიფრთხილე – მშობლებს.

◉ ერთა ლიგა



# ახალი ძველები

**მოახლოებული გადამწყვეტი შეხვედრების წინ გამოქვეყნდა საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრების 23-კაციანი შემადგენლობა, რომელსაც „ა“ დივიზიონში აღზევების შანსიც გააჩნია და არც „ც“ დივიზიონში დაქვეითებისგან გახლავთ დაზღვეული.**

ხანმოკლე პაუზის შემდეგ **ვილი სანიოლმა** გუნდში ისევ გამოიძახა **საბა ლობჟანიძე,** რომელმაც ატლანტის მაისურით ამერიკის ლიგის მეოთხედფინალში მესის, სუარესის, ბუსკეტსისა და ალბას მაიამის ძლევით გააღწია, აგრეთვე **ნიკა კვეკვესკირი** და **ანრი მექვაბიშვილი,** თუმცა უკრაინასთან და ჩეხეთთან შეხვედრებისთვის აღარ მოიწვია **სანდრო ალთუნაშვილი, გიორგი გულიაშვილი** და **შოთა ნონიკაშვილი.**

რაც შეეხება ემპოლის მცველ **საბა გოგლიჩიძეს,** მართალია იგი ჩამოვიდა შეკრებაზე, მაგრამ ჯვაროსანთა სამედიცინო შტაბის გადაწყვეტილებით ლეჩესთან მიღებული ტრავმის გამო იგი დინამოელმა **ალექსანდრე კალანდაძემ** შეცვალა.

**საქართველოს ნაკრები**

**მეკარეები** – მამარდაშვილი, ლორია, გუგეშაშვილი.

**მცველები** – კაშია, კაკაბაძე, გველესიანი, კვირკველია, დვალი, ლოჩოშვილი, გოჩოლეიშვილი.

**ნახევარმცველები და თავდამსხმელები** – კიტეიშვილი, ქოჩორაშვილი, შენგელია, წიტაიშვილი, ჩაკვეტაძე, დავითაშვილი, კვარაცხელია, ზივზივაძე, მიქაუტაძე.

◉ კოლეგები

# მეორედ – მოლდოვა

**8 ქვეყნის სპორტულ ჟურნალისტთა, მათ შორის პირველად – გერმანიისა და უნგრეთის – გუნდები მონაწილეობდნენ ბათუმში გამართულ ლეგენდარული კომენტატორის კოტე მახარაძის სახელობის მინი-ფეხბურთელთა მედია-ტურნირში, რომლის მესაძირკვლენი სსჟა-ს თავკაცი მიხეილ აბაიშვილი და უეფას მედია-ოფიცერი მამუკა კვარაცხელია არიან.**

შეგახსენებთ, რომ წინა ტურნირები უკრაინამ, მოლდოვამ, ყაზახეთმა და საქართველომ მოიგეს, ხოლო ამჯერად მოლდოველებმა ფინალში პენალტების სერიაში დაამარცხეს მასპინძლები და მეორედ შემართეს „კოტეს თასი“.

როგორც ყველა კეთილ საქმეს აღნიშნულსაც სამაგალითოდ დაუჭირეს მხარი საქართველოს სპორტისა და კულტურის სამინისტრომ, საქართველოს „სპორტული ტურიზმის ალიანსმა“, აჭარის სპორტის დეპარტამენტმა, ავტონომიური რესპუბლიკის სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტმა **ნათია კოპალაძემ** და ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ირაკლი თოთლაძემ,** ხოლო კოლორიტულმა ფიგურებმა – **რევაზ ჩელებაძემ** და **გიგა გვენცაძემ,** როგორც სჩვევიათ, წარმატებით გაართვეს თავი ექსპერტის ფუნქციას.

გაგაცნობთ ლაურეატთა და ცალკეული პრიზების მფლობელთა ვინაობასაც: **ტაუტენას ვენცეავიჩუსი** (ლიეტუვა), **ნიკა კბილაძე** (საქართველო), **პეტერ ჩილაგი** (უნგრეთი), **რუმინეთის ნაკრები, მასიმ ზადე** (აზერბაიჯანი), **ჰოვანეს მამრიანი** (სომხეთი), **გიორგი თოთლაძე** (საქართველო), **არტიომ შულეაკი** (მოლდოვა).



# ორიოდე სიტყვით

**გაწუწზე ხტომა**

**ლულეში (პორტუგალია).** მე-17 საერთაშორისო ახალგაზრდული ტურნირი 22 ქვეყნის 383 წარმომადგენლის მონაწილეობით. **ოქრო** – მარიამ გაბრიაძე (17-წლამდელები). **ვერცხლი** – ელენე კირთაძე (17-წლამდელები), ლუკა ლომთათიძე (15-წლამდელები).

**ჩოგბურთი**

**უკვე** გაუწყეთ, რომ **ნიკოლოზ ბასილაშვილმა** სეულის ჩელენჯერის მოგებით 3-წლიანი ნავსი გატეხა. გარდა ამისა, კორეის კორტებზე მოპოვებული ქულებით იგი 96 პოზიციით დაწინაურდა და რეიტინგში 215-ე ადგილამდე აღზევდა.

**ძიუდო**

**რომი (იტალია).** ევროპის ღია თასის გათამაშება. 81 კგ-ში ქართული ფინალი გაიმართა. **ოქრო** – ვლადიმერ ახალკაცი. **ვერცხლი** – ირაკლი ბეროშვილი. დისკვალიფიკაციამოხდილი 26 წლის მსოფლიოს ჩემპიონი **ლუკა მაისურაძე** პირველივე ბრძოლაში დამარცხდა ტატამის მასპინძელ კენი ბედელთან (შიდოებით).

**დიორი (უნგრეთი).** კადეტთა ევროპის თასის გათამაშება. **ვერცხლი** – ვახტანგ ჭიაბერაშვილი (60 კგ). **ბრინჯაო** – საბა



ბოლქვაძე, ნიკოლოზ გივიშვილი (ორივე – 55 კგ).

**ლას ვეგასი (აშშ).** მსოფლიოს ჩემპიონატი ვეტერანებში. საქართველო – 12 მედალი: 4 ოქრო, 4 ვერცხლი, 4 ბრინჯაო. საქართველოს 8-გზის ფალავანი **ალექსი დავითაშვილი** ასევე მე-8 გახდა მსოფლიოს ჩემპიონი და თუ მე-10 ტიტულს მოიპოვებს, ტატამის 3 დიდოსტატის მსგავსად, ძიგარო კანოს დიდების დარბაზის წევრი გახდება. ბრძოლის სიმძაფრეზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ 2 ჩვენებური სამშობლოში ფეხმოტეხილი დაბრუნდა.

**ბიატლონი**

**ბელგრადი (სერბეთი).** საერთაშორისო ფედერაციის კონგრესი. ახალი ჯილდოს – ინდივიდუალური საპატიო სერტიფიკატის პირველი ლაურეატი გახდა ჩვენი ეროვნული ფედერაციის სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე, საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკი, საერთაშორისო ფედერაციის არბიტრაჟის ყოფილი თავკაცი **ალექსანდრე ბუძიშვილი.**

თბილისის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის სათხილამურო სპორტის ალპინიზმისა და ტურიზმის კათედრის პროფესორი ათამდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორია.

**პარაფარიკაობა**

**პიზა (იტალია).** მსოფლიოს თასი. ხმალი. **ვერცხლი** – ნინა თიბილაშვილი.

**სამბო**

**ყაზახეთი.** მსოფლიოს ჩემპიონატი. საქართველო – 1 ოქრო, 1 ვერცხლი, 3 ბრინჯაო.

◉ ევრო – 2026

# მისაღები, თუმცა...

**ისლანდია სახელბურთო გრანდია და სამართლიანად მიიჩნევა ევრო – 2026-ის საკვალიფიკაციო ეტაპზე ჩვენი ჯგუფის ფავორიტად, ამიტომ ასეთ მრისხანე მეტოქესთან საკუთარ თბილისი არენაზე ზედიზედ მეორე მატჩის წაგება საგანგაშოდ არაა შესაფასებელი, თუმცა...**

თამაში ყოჩაღად დავიწყეთ და, მართალია, დაწინაურება ვერ მოვახერხეთ, მაგრამ შესვენებაზე მინიმალური ჩამორჩენით გავედით – 13:14.

კარიერის საუკეთესო მატჩი ჩაატარა **დიხამინჯიამ,** რომელიც რაკეტასავით გარბოდა კონტრშეტევებზე და შეხვედრა 9 გატანილი ბურთით დაასრულა მაშინ, როცა მასპინძელთა ლიდერმა **ცხოვრებაძემ** ამჯერად პარტნიორებს მხოლოდ 5 გოლი შემატა (სტარტზე ბერძნებთან – 11(!).

მოვლენები ლოგიკურად მეორე ტაიმში განვითარდა, მაგრამ საბოლოო შედეგი – 25:30 კარგ შანსს გვიტოვებს გამსვლელი მეორე ადგილისათვის ოპტიმიზმით ვიბრძოლოთ, რადგან ჩვენი უშუალო კონკურენტების – ბოსნიელთა და ელადელთა ჯახი მასპინძლებმა 23:22 მოიგეს, მათთან კი გაისად, წესით, პრობლემები არ უნდა შეგვექმნას.



◉ ოვალური ბურთი

# განწირულნი ვიყავით

**მართალია, შემოდგომის სერია ახალი ზელანდიის მეორე ნაკრებთან ფრანგულ მონპელიეში გამართული სპარინგით გავხსენით, მაგრამ ამით აღნიშნულ მატჩს ბევრი არაფერი დაკლებია, რადგან, მისი წევრები „ოლ ბლექსის“ უახლოესი ცვლაა და ბევრად ნაკლები მრისხანებით არ გამოირჩევიან, ამიტომ მთლად მართებულად არ მიგვაჩნია, რომ შეხვედრას სარეიტინგო ქულები არ ახლავს თან და არც ტესტად ჩაგვეთვალა.**

**ახალი ზელანდია – საქართველო 31:13**

**საქართველო (15-9):** ნინიაშვილი, ტაბუცაძე, კვესელაძე, კახოიძე (თათლაძე), თოდუა, მატკავა (აბჟანდაძე), ლობჟანიძე (პერანიძე), **(1-8)**: აბულაძე (ახალაძე), კარკაძე (ნიორაძე), ქუნთელია (აფციაური), ბაბუნაშვილი, ჯავახია (ჯაიანი), სპანდერაშვილი, ცუცქირიძე (ივანიშვილი), ჯალაღონია.

**მწვრთნელი:** რიჩარდ კოკერილი.

**ბორჯღალოსანთა ახალი კაპიტანი:** ვასილ მაისურაძე.

**მსაჯი:** ჯორდან ვეი (ავსტრალია).

**ლელო: კარკაძე. 2 საჯარიმო და გარდასახვა:** მატკავა.



ამთავითვე უნდა ვაღიაროთ, რომ დერეფანი უშანსოდ დავთმეთ და დიდად არც შერკინებაში ვივარგეთ, რასაც მსაჯის რამდენიმე შეცდომაც დაემატა.

17 ნოემბერს გენუაში უმნიშვნელოვანესი ტესტი გველის იტალიასთან, რომელსაც ჯერაც ვერ მოუნელებია ჩვენთან ბათუმში ნაჭამი სირცხვილი და პრინციპულ ბრძოლაში რევანშის აღებასაც შეეცდება.

დავძენთ, რომ **შარიქაძის, გორგაძისა** და **საღინაძის** სახით დიდი დანაკლისი გვაქვს, მაგრამ მაინც იმედიანად ვართ!

აქვე გაუწყებთ, რომ რაგბი ევროპის ახალი პრეზიდენტი პარიზში გამართულ 106-ე ყოველწლიურ ყრილობაზე ნიდერლანდელი **იანჰეინ პიტერსი** გახდა, რომელმაც 3 ვადის გასვლის შემდეგ რუმინელი **ოქტავიან მორარიუ** შეცვალა.

# პირველი და დაუვიწყარი...

## ალექსანდრე (საშა) ბერულავას სახელობის ჟურნალისტური პრემიის გამარჯვებულთა დაჯილდოება



**აფხაზეთის მთავრობის მხარდაჭერითა და აფხაზეთის საინფორმაციო ანალიტიკური ცენტრის ინიციატივით, ცნობილი ჟურნალისტის, აფხაზეთში ქართული ტელევიზიის პირველი დირექტორის ალექსანდრე (საშა) ბერულავას სახელობის ჟურნალისტური პრემიის გამარჯვებულთა დაჯილდოება გაიმართა.**

ჟურნალისტური პრემიის გამარჯვებულები სპეციალურმა კომისიამ ოთხ კატეგორიაში გამოავლინა.

სამაუწყებლო ან ელექტრონულ მედიაში გასული, აფხაზეთის თემაზე მომზადებული სიუჟეტი ან მულტიმედია ნამუშევარი – **მამუკა ყუფარაძე**, აფხაზეთის თემაზე მომზადებული საუკეთესო სტატია ბეჭდურ ან ელექტრონულ მედიაში – **ლევან ურიდია**, პრიზი მშვიდობის ჟურნალისტიკაში – გაიცემა საუკეთესო ჟურნალისტური ნაშრომისთვის, რომელიც ხელს უწყობს საქართველოში მომხდარი შეიარაღებული კონფლიქტების კონტექსტში ნდობისა და მშვიდობის აღდგენას – **დეა გაძაღუა** და ჟურნალისტური საქმიანობა – აფხაზეთიდან დევნილი ჟურნალისტი – **დალი ჯონჯუა** (სიკვდილის შემდეგ).

გამარჯვებულები აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ ლევან მგალობლიშვილმა, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ ჯემალ გამახარიამ, აფხაზეთის საინფორმაციო-ანალიტიკური ცენტრის დირექტორმა ეკა წივწივაძემ და საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ გულიადა ჭკადუამ დააჯილდოვეს.

✦ ✦ ✦

ალექსანდრე ბერულავა სოხუმის დაცემის დღეს აფხაზმა სეპარატისტებმა და ჩრდილოკავკასიელმა დაქირავებულმა მებრძოლებმა ჟიული შარტავასთან და მინისტრთა საბჭოს წევრებთან ერთად დახვრიტეს.

ალექსანდრე (საშა) ბერულავას სახელობის ჟურნალისტური პრემიის დაჯილდოება წელს პირველად გაიმართა, რომელიც ტრადიციად იქცევა და ყოველი წლის 11 ნოემბერს გაიმართება.

ინფორმაციას აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა ავრცელებს.

# უკონტროლო კრიპტობიზნესი ჭუბერს და ხაიშს ახრჩობს!

## მესტიის მერია საგანგებო განცხადებას ავრცელებს

**ჭუბერისა და ხაიშის მოსახლეობის საყურადღებოდ!**

მესტიის მუნიციპალიტეტის ხაიშისა და ჭუბერის ადმინისტრაციულ ერთეულებში კატასტროფულად გაზრდილია ელექტროენერგიის მოხმარება. ამ ეტაპზე, ტრანსფორმატორი გათიშულია, კრიზისულად გაზრდილი ტვირთის გამო ტრანსფორმატორის გადაწვის თავიდან აცილების მიზნით.


ხაიში

აღნიშნულ თემებში, ელექტროენერგიის მოხმარების სავალალო ზრდა პირდაპირ დაკავშირებულია უკონტროლო კრიპტომაინინგთან.

მოგიწოდებთ მაინერების მფლობელებს, გამორთეთ ე.წ. ბიტკოინის აპარატები!

გთხოვთ, გაიაზროთ, რომ თქვენს პირად ინტერესებს ეწირება დანარჩენი მოსახლეობის – თქვენი მეზობლების, თქვენი ნათესავების, თქვენი მეგობრების კეთილდღეობა.

მსგავსი დატვირთვის გაგრძელების შემთხვევაში მოსახლეობისთვის ელექტროენერგიის მიწოდება შეუძლებელი გახდება!

# ბიტკოინის ფასმა ყველა დროის მაქსიმუმს მიაღწია

**ბიტკოინის ფასი თითქმის 5%-ით გაიზარდა და ისტორიაში პირველად 85 ათას დოლარს გადააჭარბა.**

**Binance**-ის ბირჟაზე, რომელიც კრიპტოვალუტით ვაჭრობის მოცულობით უმსხვილესია, ბიტკოინი დღეში 5,44%-ით, 85,187 დოლარამდე გაიზარდა, მაქსიმალურმა მაჩვენებელმა კი 85,314 დოლარი შეადგინა.

**CoinMarketCap** პორტალის მიხედვით, რომელიც 20-ზე მეტი ბირჟისთვის საშუალო ფასს ითვლის, ბიტკოინის ღირებულება 5.47%-ით გაიზარდა და საშუალოდ 85,304 დოლარს მიაღწია.



# განცხადება

## საჯარო განხილვის შესახებ

სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა - სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის მიერ თელავის მუნიციპალიტეტში 110 კვ-იანი ძაბვის „სტორი ჰესი - ქ/ს ახალი თელავის“ მიწისზედა (საჰაერო) ერთჯაჭვა ელექტროგადამცემი ხაზის პროექტი

**დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის დრო და ადგილი:** 2024 წლის 25 ნოემბერი, 12:00 საათი, თელავის მუნიციპალიტეტის სოფ. ფშაველის ადმინისტრაციული ერთეულის შენობა, 2024 წლის 25 ნოემბერი, 15:00 საათი, თელავის მუნიციპალიტეტის სოფ. გულგულის ადმინისტრაციული ერთეულის შენობა, 2024 წლის 26 ნოემბერი, 12:00 საათი, თელავის მუნიციპალიტეტის სოფ. ვარდისუბნის ადმინისტრაციული ერთეულის შენობა

**გადაწყვეტილების მიმღები უფლებამოსილი ორგანოა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო. საჯარო განხილვის ორგანიზატორია სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი.**

საჯარო განხილვა ღიაა. მონაწილეობის, შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს. წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ გაუგზავნოთ **სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს 2024 წლის 29 ნოემბრის ჩათვლით მისამართზე:** ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი N150 ან ელფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გამოგზავნისას მიუთითოთ ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს). მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნაბეჭდი/მატერიალური ვერსიის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი. საჯარო განხილვასთან დაკავშირებით მიმართეთ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს (ტელ: 0322 112023, ელფოსტა: ph@eiec.gov.ge, მის: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N32გ).

**განცხადების რეგისტრაციის თარიღი: 2024 წლის 1 ნოემბერი.** განცხადების რეგისტრაციიდან არაუადრეს 26-ე და არაუგვიანეს 30-ე დღისა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო გასცემს სკოპინგის დასკვნას.

# განცხადება

## საჯარო განხილვის შესახებ

**სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა -** შპს „ღუნჯა ჰესის“ მიერ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 5.5 მგვტ დადგმული სიმძლავრის „ღუნჯა ჰესის“ მშენებლობა-ექსპლუატაციის და 35 კვ ძაბვის ეგხ-ის გაყვანის პროექტი

**დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის დრო და ადგილი:** 2024 წლის 28 ნოემბერი, 16:00 საათი, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სოფ. მუხურის ადმინისტრაციული ერთეულის შენობა. **გადაწყვეტილების მიმღები უფლებამოსილი ორგანოა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო. საჯარო განხილვის ორგანიზატორია სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი.**

საჯარო განხილვა ღიაა. მონაწილეობის, შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს. წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ გაუგზავნოთ **სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს 2024 წლის 2 დეკემბრის ჩათვლით მისამართზე:** ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი N150 ან ელფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გამოგზავნისას მიუთითოთ ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს). მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნაბეჭდი/მატერიალური ვერსიის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი. საჯარო განხილვასთან დაკავშირებით მიმართეთ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს (ტელ: 0322 112023, ელფოსტა: ph@eiec.gov.ge, მის: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N32გ).

**განცხადების რეგისტრაციის თარიღი: 2024 წლის 4 ნოემბერი.** განცხადების რეგისტრაციიდან არაუადრეს 26-ე და არაუგვიანეს 30-ე დღისა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო გასცემს სკოპინგის დასკვნას.

# ტრაგედია თბილისში: სტუდენტების ცხედრები ნაქირავებ ბინაში იპოვეს

**თბილისის ცენტრში ორი სტუდენტი გარდაცვლილი ნახეს. ცხედრები ჯავახიშვილის ქუჩაზე, ერთ-ერთ ნაქირავებ ბინაშია აღმოჩენილი.**

ახალგაზრდების სამძებრო ოპერაცია პოლიციამ მას შემდეგ დაიწყო, რაც მასთან ოჯახი და მეგობრები კავშირზე ორი დღის განმავლობაში ვერ გადიოდნენ.

23 წლის ბიჭი და 21 წლის გოგო ექსპერტიზის ბიუროში გუშინვე გადაასვენეს.

წინასწარი ინფორმაციით სიკვდილის მიზეზი ნარკოტიკებით ზედოზირება გახდა.

**რედაქცია გულწრფელად თანაუგრძნობს გარდაცვლილთა ოჯახებს, მეგობრებს და სრულიად საქართველოს!**

# თბილისის პირველ სამშობიაროში ჩვილი გარდაიცვალა

**თბილისში, პირველ სამშობიაროში, გამთენიისას ჩვილი გარდაიცვალა. ოჯახის წევრები ექიმებს გულგრილობაში ადანაშაულებენ.**

მშობიარე კლინიკაში 10 ნოემბერს შეიყვანეს. როგორც ოჯახის წევრები ამბობენ, ბუნებრივი მშობიარობა გართულდა, ხოლო საკეისრო კვეთაზე თავად ექიმებმა თქვეს უარი და ოჯახის წევრებს არწმუნებდნენ, რომ ამის საჭიროება არ არსებობდა. ჩვილის ცხედარი ექსპერტიზაზე გადაასვენეს.

შსს-ს ცნობით, გამოძიება სისხლის სამართლის 116-ე მუხლით დაიწყო.

# მილოცვა რამაზ ხუროძეს



შესანიშნავ მოქალაქეს, მეცნიერს, საზოგადო მოღვაწეს, აკადემიკოს რამაზ ხუროძეს 80 წლის იუბილეს ვულოცავთ საქართველოს პურ-პროდუქტების ასოციაცია. ის უაღრესად ერუდირებული და ღრმად განსწავლული პიროვნებაა, იცნობს ჩვენი დარგის პრობლემებს განსაკუთრებით ქართული საფუარის წარმოების აღორძინების საკითხებში, გასაკვირიც არაფერია, რადგანაც მისი მამა ადოლფ ხუროძე ჩვენი დარგისა და საქართველოს კვების მრეწველობის ხელმძღვანელი (მინისტრი) და საქართველოში ამ დარგის საინჟინრო სკოლის დამფუძნებელი გახლდათ, ხოლო ბატონი რამაზის მუდმივი ყურადღება დარგის პროგრესული განვითარებისთვის ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

სულითა და გულით ვულოცავთ საიუბილეო თარიღს. ვუსურვებთ ჯანმრთელობასა და მხნეობას.

**მალხაზ დოლიძე,**
საქართველოს პურის მრეწველთა კავშირის თავჯდომარე, ტექ. მეც. დოქტორი, პროფესორი.

# „მე ვარ საქართველო“!

**ევრო 2024-ში საქართველოს საფეხბურთო ნაკრების მონაწილეობის აღსანიშნავად ოქროსა და ვერცხლის საკოლექციო მონეტების გაყიდვა უახლოეს მომავალში დაიწყება.**




**ისევე როგორც სრულიად საქართველო, ეროვნული ბანკის მთელი გუნდი ჩვენი ფეხბურთელების დიდი გულშემატკივრები ვართ. მყისიერად გადავწყვიტეთ, შეგვეკვეთა ვერცხლის მონეტა, – განაცხადა „იმედის კვირასთან“ ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა ნათია თურნავამ.**

მან ლიეტუვის ზარაფხანაში დამზადებულ მონეტებზე ისაუბრა.

„მყისიერად გადავწყვიტეთ, შეგვეკვეთა ვერცხლის მონეტა, რომლის დიზაინიც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან ერთად შეიქმნა. მონეტაზე გამოსახულია ახალი საფეხბურთო მაისური, რომელიც ჩვენი ნაკრების რებრენდინგის პროცესში შეიქმნა და მოუთმენლად ველით ამ მონეტის საქართველოში ჩამოსვლას“, – განაცხადა თურნავამ.

ამასთან, მონეტები დამზადდა როგორც ვერცხლის, ასევე ოქროსი, რომელთაც ორივე მხრიდან, ზედაპირზე ფერადი დეტალიც აქვთ, რითაც ისინი უფრო ღირებულია. გამოსახულია ნაკრების გერბი და წარწერა – „**მე ვარ საქართველო**“.

ლიეტუვის ზარაფხანაში დამზადებულ მონეტებს საქართველოში უახლოეს ხანში ჩამოიტანენ. დაგეგმილია 10 ათასი ვერცხლისა და 1 500 ოქროს მონეტის გამოგზავნა. მონეტებზე დიდი მოთხოვნილების გამო, ეროვნული ბანკი მათი გაყიდვის შესახებ ინფორმაციას მოსახლეობას დამატებით აცნობებს.

# საქართველოს პრეზიდენტმა 11 მსჯავრდებული შეიწყალა

**საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ცნობით, საქართველოს პრეზიდენტმა დღეს 11 მსჯავრდებული პირი შეიწყალა, საიდანაც 3 მსჯავრდებულ პირს პენიტენციურ დაწესებულებაში მოსახდელად დარჩენილი თავისუფლების აღკვეთის სახით შეფარდებული სასჯელის ვადა შეუმცირდა.**

როგორც ადმინისტრაციის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია აღნიშნული, შეწყალების აქტი ასევე შეეხო 8 პირობით მსჯავრდებულ პირს, რომლებიც სრულად გათავისუფლდნენ პირობითად ჩათვლილი თავისუფლების აღკვეთის შემდგომი მოხდისაგან.

**უცხოური ვალუტის კურსი:**
**აშშ დოლარი - 2.7288; ევრო - 2.9138;**
**ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.5185;**
**100 რუბლი - 2.7832; თურქული ლირა - 0.0795;**
**აზერბაიჯანული მანათი - 1.6056;**
**1000 სომხური დრამი - 7.0462.**

# წმიდათა ათთა ბევრთა (100 000) მოწამეთა
## ხსოვნის დღე



**13 ნოემბერს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია იხსენიებს 100 000 წმინდანს, რომლებიც 1227 წელს ხვარაზმელებმა აწამეს.**

...ჟამთააღმწერელი მოგვითხრობს, რომ ხვარაზმის სულთანი ჯალალედინი საქართველოს საზღვრებს მოადგა და ათაბაგ ავაგ მხარგრძელს შესთავაზა: **„აწ მნებავს, რათა შევერთნეთ მტკიცითა ფიცითა და ვებრძოლოთ მტერთა (მონღოლებს), რომელ მეფე თქვენი დედაკაცი არს და მყოთ ქმარ მისა და მეფე თქვენ ზედა და ვძლიოთ ყოველთა მტერთა ჩვენთა, უკეთუ ესე არა ჰყოთ, მოოხრდეს სამეფო თქვენი“.**

რუსუდანმა ავაგს უარი შეუთვალა. სულთანმა ლაშქარი თბილისისკენ დაძრა. ბრძოლის პირველ დღეს „ძლევა აჩვენეს ქართველთა“. მაგრამ ღამით მტერი თბილისში აღმოჩნდა... სისხლის მდინარემ წალეკა ქალაქი. ქუჩები და მტკვარი გვამებით აივსო...

სულთანმა მოარღვევინა სიონის ტაძრის გუმბათი, გამოატანინა ტაძრიდან მაცხოვრის და ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატები, დაასვენებინა ხიდზე და უბრძანა ქართველებს: **„დათრგუნვა პატიოსანთა ხატთა და დატევება სჯულისა“**. ვინც ამას არ აღასრულებდა, „წარკვეთა თავთა“ ელოდა.

100 000 ქართველი შეეწირა ამ დღეს წმინდა ხატების თაყვანისცემას და სარწმუნოების დაცვას.

**ერთ დღეში 100 000 წამებული – მსოფლიოში უპრეცედენტო ფაქტია!**

**გიული ლიპარტია**

# „ასტრიდობა“ ეროვნულ სასახლეში



## ასტრიდ ლინდგრენის დაბადების დღე

**14 ნოემბერს, ეროვნული სასახლე, ყველაზე კეთილი „ჯადოქრის“ დაბადების დღის აღსანიშნავად, უმასპინძლებს „ასტრიდობას“ ეროვნულ სასახლეში.**

„14 ნოემბერს ასტრიდი დაიბადა, ქალი, ვის გულშიც მუდამ ბავშვი ცხოვრობდა, გოგონა, რომელიც სიცოცხლის ბოლომდე წვიმაში რწყავდა ყვავილებს, ავტორი, რომელსაც „არ სურდა“ დიდებისთვის წერა, მაგრამ მისი „ბავშვებისთვის“ დაწერილი ნაწარმოებები იმხელა ფილოსოფიაა, რომ ადამიანები ზრდასრულ ასაკშიც კითხულობენ თავნება პეპის, ცელქი ემილის, უფხო ძია მელკერისა და სხვათა ისტორიებს, ზრდასრულ ასაკშიც ოცნებობენ ვილა ყიყლიყოსა და კუნძულ სალტკროკაზე დასახლებასა და ფრეკენ ბოკის შებრაწული გუფთებისა და პეპილოტას იატაკზე გაბრტყელებული მაჭკატების ჭამაზე.

სწორედ ამიტომ ყველას, ვის გულშიც ბავშვი ცხოვრობს 14 ნოემბერს გეპატიჟებით ეროვნულ სასახლეში – გავიხსენოთ ასტრიდი – „ვაცხოთ“ მაჭკატები, ვიმღეროთ, დავიხატოთ ჭორფლები, დავათვალიეროთ გამოფენა, გავეცნოთ ესეებს და ვნახოთ ჩვენი თეატრალური მიმართულების მოსწავლეების წარმოდგენა.



შემოგვიერთდით, ერთად შევქმნათ ჯადოსნური გარემო.

მედიათეკაში (B17) პატარებს უმასპინძლებს ყველასათვის საყვარელი საბავშვო მწერალი – ლელა ცუცქირიძე.

ვისაუბროთ მწერალსა და მის წიგნებზე;

ვითამაშოთ მხიარული ვიქტორინა;

ჩავერთოთ მხიარულ, ინტერაქციულ აქტივობებში“, – აღნიშნულია მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

საქართველოს რესპუბლიკა
www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქობულია**
(599-36-00-35);

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04),

შემოქმედებითი ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი,**
**თემურ ქორიძე,**
**ოთარ ტურაბელიძე,**
**გია პლატონიშვილი,**

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქობულია**
(577-77-27-17),

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია,**
**მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**

დამკაბადონებელი
**გიორგი მახარაშვილი.**

გაზეთის განახლებული ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი**

**მისამართი:**
თბილისი. აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
sak@sak.ge

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმობეჭდილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე,
აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

UAC(უაკ)070.4(479.22)
C–323
2 009882 616932

რეკლამისთვის დარეკეთ:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა პარასკევს, 15 ნოემბერს**